CIAN MAGENTA YALLOW BLACK

ალია

## ბიძინა ივანიშვილის გადაცემის პროდიუსერი ნინო შუბლაძე იქნება?



N104/3034/ 9 ივლისი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან



## გიორგი გაბედავა:
# „არავის არ დავინდობთ!!!“

## პატრიარქის დასაცავად ახალგაზრდები მოძრაობას ქმნიან

## მარიხუანას გამოყენება აშშ-ის 23-ე შტატში დაუშვეს სამკურნალოდ

### რას ამბობს ქართველი ექსპერტი

# მარგველაშვილი სააკაშვილს 14 ივლისს საფრანგეთში შეხვდება?



# ადვოკატი მამუკა ნოზაძე: „ამ ხელისუფლებამ ის უღირსი ნოტარიუსები, რომლებიც პროკურორის ზარზე კანონს არღვევდნენ და აფორმებდნენ უკანონო ნოტარიულ აქტს, თანამდებობებზე დატოვა“

იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე ნოტარიუსები და თარჯიმანთა ბიუროს ხელმძღვანელი დააკავა. გამოძიებით დადგინდა, რომ კერძო სათარჯიმნო ოფისის წარმომადგენელი (ე.ფ), მის სათარჯიმნო ოფისში, წინასწარ იტოვებდა სხვადასხვა ენის თარჯიმნების მიერ ცარიელ ფურცლებზე შესრულებულ ხელმოწერებს, რომელთა გამოყენებითაც შემდგომში, თარჯიმნების უშუალო მონაწილეობის გარეშე, სამ სხვადასხვა ნოტარიუსთან მზადდებოდა და სანოტარო აქტები გაიცემოდა. სამმა ნოტარიუსმა (მ.კ-მ, მ.ბ-მ და თ.ს-მ), ისე, რომ სანოტარო მოქმედების შედგენაში მონაწილე თარჯიმნები მათ სანოტარო ბიუროში არ მისულან, სანოტარო აქტის ტექსტები ნოტარიუსების თანდასწრებით მხარისთვის არ უთარგმნიათ და აქტებზე არც ხელი მოუწერიათ. ამ დროისთვის დაკავებულია ორი ნოტარიუსი (მ.კ. და მ.ბ.), სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ერთი ნოტარიუსი, ხოლო სამსახურებრივი სიყალბის ჩადენაში დახმარების ფაქტზე — კერძო სათარჯიმნო ბიუროს წარმომადგენელი (ე.ფ.).

**კონკრეტულად რაში გამოიყენეს აქტები ნოტარიუსებმა?**

„ალია“ იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს **მარიამ სხილაძეს** დაუკავშირდა:

– კონკრეტული დანაშაული გულისხმობს შემდეგს. როდესაც თქვენ ნოტარიუსთან მიგაქვთ სათარგმნი ტექსტი, უნდა მონაწილეობდეს მასში თარჯიმანი, რომელიც ხელმოწერით დაადასტურებს, რომ გადათარგმნილი ტექსტი ნამდვილად არის ავთენტური. ასეთ დროს თარჯიმანი თავისი ხელმოწერით პასუხს აგებს იმაზე, რომ ეს ტექსტი არის ნამდვილი. ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პროცედურულ კანონდარღვევას, ეს ადამიანები ცარიელ ფურცლებზე აწერდნენ ხელს, უტოვებდნენ ნოტარიუსს ამ ფურცლებს და შემდეგ რა ტექსტები იწერებოდა, არავინ იცოდა. ძალიან ბევრ სანოტარო ტექსტზეა საუბარი, თუმცა ამჟამად არ არის ცნობილი, გამოყენებული იქნა თუ არა ეს სანოტარო აქტები. გამოძიება დაადგენს, იყო თუ არა გამოყენებული უკანონოდ შედგენილი სანოტარო აქტები.

**— როგორც გავარკვიე, როდესაც პირი მივიდოდა მემკვიდრეობის ან მინდობილობის გასაკეთებლად, ნოტარიუსს შეეძლო თარჯიმნის გარეშე ჩაეწერა, რა ტექსტიც სურდა და დაემოწმებინა, ასეა?**

– ჩვენ არ გვქონია საშუალება კონკრეტული ნოტარიული აქტები გვენახა, ის რომლისთვისაც დააკავეს თარჯიმანიც და ნოტარიუსებიც. ნოტარიუსი ამზადებდა ყალბ დოკუმენტს, ყოველ შემთხვევაში ამ დოკუმენტის სანდოობასა და ავთენტურობას თარჯიმანი არ ამოწმებდა, რაც არის აუცილებელი პირობა მინდობილობის, მემკვიდრეობის ან ჩუქების შესახებ გაკეთებული განაცხადისას. ნოტარიუსი ვალდებულია, ჰქონდეს ინფორმაცია, რომ მის ხელთ არსებული დოკუმენტი ნამდვილად ის განცხადებაა, რომლის შესახებაც განაცხადი მოქალაქემ შეიტანა და რაც მის ხელთ არსებულ დოკუმენტში წერია, ქართულად იგივეა უცხო ენაზე.

**— თარჯიმნის ფუნქციას ითავსებდა ნოტარიუსი?**

– დიახ და თარჯიმანთა ბიუროს ხელმძღვანელი ქალბატონიც სწორედ ამიტომ არის მიცემული პასუხისგებაში, რადგან ეს შეთანხმებული კანონდარღვევა იყო.

**— დაზარალებული მოქალაქეები თუ არიან?**

– საქმეში არ არსებობენ დაზარალებული პირები. ამ მომენტისთვის ასეა და შემდეგ ვნახოთ, გამოძიებით რა დადგინდება.



**„ნებისმიერი გარიგების დროს ნოტარიუსი უნდა ერკვეოდეს სამართალში, რომ მხარეს განუმარტოს, რა ხელშეკრულებაზე აწერს ხელს და რა ვალდებულებას იღებს ამა თუ იმ დოკუმენტზე ხელმოწერის შედეგად. ისინი მხოლოდ ამოწმებენ ხელმოწერით ნორმატიულ აქტს და არ აძლევენ განმარტებას მხარეებს, რა უფლებები და პასუხისმგებლობა ეკისრებათ“**



**„განსაკუთრებულად ვერავინ დაისჯება, ვინაიდან ყველაფერს, ყველა გადაცდომასა და კანონდარღვევას კანონი არეგულირებს. ხშირად არასწორ ტერმინოლოგიას იყენებს ხოლმე ქალბატონი წულუკიანი. ნოტარიუსები დიდი ნდობითა და პატივისცემით არ გამოირჩევიან, ვინაიდან ისინი ხშირად სჩადიოდნენ და ახლაც სჩადიან უკანონობას“**

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებს, რომ ნოტარიუსები, რომლებიც კანონს დაარღვევენ, განსაკუთრებული სიმკაცრით დაისჯებიან. რას გულისხმობს მინისტრი განსაკუთრებულ დასჯაში?

**ადვოკატი მამუკა ნოზაძე ჩვენთან საუბრისას აცხადებს:**

– განსაკუთრებულად ვერავინ დაისჯება, ვინაიდან ყველაფერს, ყველა გადაცდომას და კანონდარღვევას კანონი არეგულირებს. ხშირად არასწორ ტერმინოლოგიას იყენებს ხოლმე ქალბატონი წულუკიანი. ნოტარიუსები დიდი ნდობითა და პატივისცემით არ გამოირჩევიან, ვინაიდან ისინი ხშირად სჩადიოდნენ და ახლაც სჩადიან უკანონობას. ელემენტარულს გეტყვით. ნებისმიერი გარიგების დროს ნოტარიუსი უნდა ერკვეოდეს სამართალში, რომ მხარეს განუმარტოს, რა ხელშეკრულებაზე აწერს ხელს და რა ვალდებულებას იღებს ამა თუ იმ დოკუმენტზე ხელმოწერის შედეგად. ისინი მხოლოდ ამოწმებენ ხელმოწერით ნორმატიულ აქტს და არ აძლევენ განმარტებას მხარეებს, რა უფლებები და პასუხისმგებლობა ეკისრებათ. გარდა ამისა, ამ ხელისუფლებამ ის უღირსი ნოტარიუსები, რომლებიც პროკურორის ზარზე კანონს არღვევდნენ და აფორმებდნენ უკანონო ნოტარიულ აქტს, თანამდებობებზე დატოვა. კეთილი ინებოს ქალბატონმა წულუკიანმა, გაწმინდოს კორუმპირებული ნოტარიუსებისგან უწყება და აღარ მოუწევს იმის თქმა, განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა დაისაჯონ ნოტარიუსებიო.

არ არის გამორიცხული ძიების პროცესში გამოვლინდნენ დაზარალებული პირებიც, რომელთაც ნოტარიუსთა უკანონო ქმედებით მატერიალური ზიანი მიადგათ. ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 332-ე მუხლით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ნოტარიუსებსა და თარჯიმანთა ბიუროს ხელმძღვანელს 3 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

ეს ნოტარიუსთა მხრიდან პირველი კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ გახლავთ. საზოგადოებას კარგად ახსოვს, როგორ ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს ნოტარიუსთა მხრიდან უკანონოდ ქონების სხვა პირებზე გადაფორმება.

„ალია“ დაინტერესდა, როგორ მიმდინარეობს ძიება პროკურატურაში იმ ნოტარიუსებზე, რომლებზეც მოქალაქეთა საჩივრებია შესული. პროკურატურის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელმა ეკა ჩიჩუამ გვითხრა, ის ნოტარიუსები დაასახელეთ, რომელთა წინააღმდეგაც საჩივარია შესულიო. ასეთი კი გახლავთ ნოტარიუსი ნინო გინტური, რომელიც, არაერთი დაზარალებულის მტკიცებით, მათ წართმეულ ბიზნესსა და ქონებას „ნაციონალურ მოძრაობას“ უფორმებდა. ნოტარიუსის დასახელების მიუხედავად, პროკურატურიდან ვერ მივიღეთ პასუხი, რა ეტაპზეა გამოძიება.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მოსამართლეებმა ხელისუფლებას ქვეყნის სათავეში ყოფნის წამზომი ჩაურთეს“



საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას სასამართლო პროცესს და სააპელაციო სასამართლოს დღევანდელ გადაწყვეტილებას ეხმაურება. ამის შესახებ მერაბიშვილი „ფეისბუკის“ ოფიციალურ გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში საუბრობს:

„გიგი უგულავასთვის წინასწარი პატიმრობის მისჯით და მისთვის აპელაციაზეც კი უარის თქმით, ხელისუფლების მიერ მართულმა მოსამართლეებმა ამავე ხელისუფლებას ქვეყნის სათავეში ყოფნის წამმზომი ჩაურთო. ის, რომ მთავარი ოპოზიციური ძალის კონკრეტული ლიდერების დაკავება ამ ძალას არ გააჩუმებს და მით უმეტეს არ გაანადგურებს, ხელისუფლების გარდა. უკვე ყველასთვის ნათელია. ნათელია ისიც, რომ გიგი უგულავას პატიმრობა ვერ გატეხს და მხოლოდ გააძლიერებს მას. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებები, სამწუხაროდ, კიდევ ერთ შავ ლაქად დარჩება ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური გუნდის მოღვაწეობაში.

ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, მიუხედავად იმისა, ვიქნებით ციხეში თუ ციხის გარეთ, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა დღეს ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის წამმზომზე დრო რაც შეიძლება მალე გავიდეს“, – ნათქვამია მერაბიშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ღარიბაშვილი ავღანეთში სამხედროების დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ავღანეთში სამხედრო მოსამსახურეების დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ავღანეთში, „აისაფის“ მისიაში მონაწილე, ჩეხეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების დაღუპვის გამო.

საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით, სამძიმარს ვუცხადებ და თანავუგრძნობ ჩეხეთის ხელისუფლებას, ჩეხ ხალხსა და დაღუპულთა ოჯახებს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

**საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**

# ვალერი გელბახიანი: „ეს საქმე ტაბუდადებულია... ხელისუფლებას ამ საკითხის წამოწევა არ აწყობს“

დასავლეთის პოლიტიკოსების რა ნაწილია „ნაციონალების“ ბედით დაინტერესებული? ვინ არის თავისი ქვეყნიდან გამოგდებული ფილიპ დიმიტროვი, რომელიც ხელისუფლებას კატეგორიულად მოუწოდებს, მის მიერ გაკეთებული განცხადება გაითვალისწინონ? რა სავარაუდო კომპრომატები აქვთ „ნაციონალებს“ ფილიპ დიმიტროვზე? რა შეაჩერებს ირაკლი ღარიბაშვილს სამართლიანობის აღდგენის პროცესში?

ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ალიას“ კითხვებს უპასუხებს ექსპერტი-იურისტი, პოლიტიკური ექსპერტი **ვალერი გელბახიანი**.

**— ხომ არ ფიქრობთ, საზოგადოებამ დაიწყოს მსჯელობა, ვინ არის ევროკავშირის ელჩი, ფილიპ დიმიტროვი, რომელიც კორუფციული სკანდალის გამო თავისი ქვეყნიდან გამოაძევეს და ვრცელდება ინფორმაციები, რომ „ნაციონალებს“ მასზე პირადი ცხოვრების ამსახველი კომპრომატები აქვთ, რითაც ყურებით ჰყავთ დაჭერილი. სხვათა შორის, ევროპიდან მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ, როცა დიმიტროვი დანიშნეს საქართველოში ევროკავშირის ელჩად, ამას ევროკავშირში დიდი სკანდალი მოჰყვა. იყო კრიტიკული განცხადებები, რატომ გზავნიდნენ მეორე ეშელონის დიპლომატს ჩვენთან.**

– ერთხელ, თქვენთან ინტერვიუში ვთქვი, რომ საკაშვილი დასავლეთში არ არის აღქმული ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის წარმოდგენებშია. მიჩნეულია, რომ საკაშვილის ხელისუფლება იყო რეფორმატორული და, როგორც ყოველთვის, რადიკალურ რეფორმებს მოჰყვება არასასურველი ტკივილი. ისინი არწმუნებდნენ დასავლეთს, რომ სხვანაირად რეფორმების გატარება შეუძლებელი იყო. უცხოეთში მაღალი თანამდებობის 90%-ს არ იჭერენ. როცა სახელმწიფოს აქვს პრეტენზია, რომ ევროპული ოჯახის წევრი უნდა გახდე, ხელს აწერ ევროპასთან ასოცირებას, როგორც კი პოლიტიკური ფიგურების დაჭერაზე გადადიხარ, მაშინვე ჩნდება კითხვები. მე თქვენ გეუბნებოდით, რომ უგულავას დაიჭერენ, მაგრამ დასავლეთიდან ამას მოჰყვებოდა მწვავე რეაქცია. და იცით რატომ? მაგალითად, შირაკი სამი წელი ატარეს დაკითხვაზე, ბერლუსკონი – 5 წელი, სარკოზი – 2 წელი, მაგრამ მათი დაჭერა აზრად არავის მოსვლია, მათთვის საპატიმრო სასჯელი არ შეუფარდებიათ. დაჭერას იყენებენ იქ, როგორც უკიდურეს ღონისძიებას.

> **„ხელისუფლებაში ფიქრობენ, თუ ბევრ ადამიანს დაიჭერენ დამნაშავე ოპონენტების სახით, ხალხის თვალში რეიტინგს აიწევენ. ეს არის მოტივაცია. ამ არჩევნებმა აჩვენა, რომ პრაქტიკულად ორი-მესამედი პროტესტს უცხადებს არსებულ ხელისუფლებას და ელექტორალურად მისი მხარდამჭერი“**

**— ბატონო ვალერი, ახლა ჩვენ სხვა სტანდარტებზე ვლაპარაკობთ. იქ წარმოუდგენელია, მაღალი თანამდებობის პირმა მოიპაროს 50 მილიონი, კანონმდებლობით ეს მკაცრად რეგულირდება. ამერიკელებს და ევროპელებს მოუწევთ ამის გაგება, რომ დამნაშავე უნდა დაიჭირო.**

– შირაკი, ბერლუსკონი, ახლა სარკოზი რომ დაჰყავთ სასამართლოში დაკითხვებზე, რას ედავებიან? საარჩევნო კამპანიის დროს ფულის გაფლანგვას. ეს რა, ნაკლები დანაშაულია?

**— 50 მილიონი და ათასობით ევრო ერთი და იგივეა, ბატონო ვალერი? უგულავას ხელს ადებენ, რომ ის იყო გამომძალველი და ქრთამისტი. ამის უშუალო მოწმეა ბიზნესმენი გიორგი კაპანაძე.**



– 50 მილიონის გაფლანგვა დადასტურებული არ არის, სანამ მისი დანაშაული არ დადასტურდებოდა, არ უნდა დაეპატიმრებინათ.

**— დასავლეთი რატომ ვერ ხედავს, რომ 2012 წლის არჩევნების დასრულებამდე ქვეყნიდან გაიქცა თავდაცვის მინისტრი კეზერაშვილი, იუსტიციის მინისტრი ადეიშვილი, სოდ-ის მაღალი თანამდებობის პირი ერეკლე კოდუა, ყოფილი პრეზიდენტი საკაშვილი. კუდ-ის მაღალი თანამდებობის პირი „მასტერა“, სოსო თოფურიძე, კუდ-ის უფროსი დათა ახალაია, კითხვა რატომ არ უჩნდებათ, — თუ უდანაშაულოები იყვნენ, რატომ დატოვეს ქვეყანა? შესაბამისად, რა გარანტია არსებობდა, რომ უგულავა, რომელიც აეროპორტში დააკავეს, საქართველოში აღარ დაბრუნდებოდა. მართლმსაჯულებამ რატომ უნდა დაიჯეროს უგულავას სიტყვა.**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გიგი უგულავა შევარდნაძის ოჯახს უსამძიმრებს



თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა, ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს. სამძიმრის წერილი უგულავამ „ფეისბუკის“ მეშვეობით გამოაქვეყნა:

„მინდა მწუხარება გამოვთქვა საქართველოს მეორე პრეზიდენტის ბატონი ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო. ჯერ ძალიან ცოტა დროა გასული იმისთვის, რომ ისტორიამ შეაფასოს მისი საქმიანობა და ალბათ, ეს შეფასება ძალიან წინააღმდეგობრივი იქნება, თუმცა, ამჟამად ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. ერთი რამ ცხადია, მან მრავალფეროვანი და საინტერესო ცხოვრებით იცხოვრა. ვარ თანაზიარი მისი ოჯახის მწუხარების“. (ნიუპოსტი)

## ქუთაისი-ზესტაფონის გზაზე ტრაილერი ამოტრიალდა




ქუთაისი-ზესტაფონის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მოძრაობის დროს ტრაილერი მსუბუქ ავტომობილს დაეჯახა და ამოტრიალდა. შედეგად მსუბუქად დაშავდა მსუბუქი ავტომობილის მძღოლი.

გზაზე, ორივე მიმართულებით მოძრაობა აღდგენილია. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბათუმში 22 კორპუსი დანგრევას გადაურჩა



ბათუმში, თამარისის დასახლებაში, 22 კორპუსს სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება. მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, ბათუმში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილ 22 საცხოვრებელ კორპუსში გარე ჰიდროთბოიზოლაციისა და კორპუსების საძირკვლების საჰიდროიზოლაციო სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს.

რომ არა აღნიშნული სამუშაოების ჩატარება, 22 კორპუსში მცხოვრებ ადამიანებს საფრთხე შეექმნებოდათ. უხარისხოდ აშენებული კორპუსების კედლები მუდმივად სველი იყო, კორპუსის საძირკველში კი წყალი დგებოდა, წყალთან ერთად კორპუსის სარდაფებში ფეკალიები ჩაედინებოდა, რის ნიადაგზეც ქვეწარმავლები გაჩნდნენ. აღნიშნულ მდგომარეობაში ცხოვრება მოსახლეობისთვის გაუსაძლის პირობებს ქმნიდა. საძირკველში არსებული წყალი კი მთლიანად კორპუსის დანგრევის საფრთხეს წარმოადგენდა. აღნიშნული საფრთხეები ამ დროისთვის საქართველოს მთავრობისა და ფონდის აქტიური მუშაობის შედეგად აღმოფხვრილია. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

– უგულავა ხომ დადიოდა სასამართლო პროცესებზე, გათავხედდა უგულავა და დაიჭირეს. საუბრის დასაწყისში თქვენ მკითხეთ დასავლეთს რატომ აქვს მწვავე რეაქცია და ამაზე გიპასუხეთ.

**— იმას როგორღა ამიხსნით, უგულავას მე-8 საპყრობილეში გამოჩენას აგრესია რომ მოჰყვა? მეტიც, მას უმღერეს, „მოდი აქ დაჯექ, ქალო...“, თქვენც ხომ იყავით ციხეში, პატიმრები ასე შეგხვდნენ?**

– არა, რას ბრძანებთ, მე ძალიან მოკრძალებით მეპყრობოდნენ. რა თქმა უნდა, ხალხი აგრესიული იქნება, როცა შენ 50 მილიონის გაფლანგვაში გადანაშაულებენ, ესენი ნემსისა და აქლემის ქურდს, განურჩევლად ყველას, ციხეში სვამდნენ. გეთანხმებით, დამნაშავე უნდა დაიჭირო და მწვავე რეაქცია ექნება ყველას, ვინც იგებს, რომ ამხელა ფულს ჰპარავდა ხალხს. რა თქმა უნდა, დანაშაული არავის არ უნდა შერჩეს. ეს ერთია, ჩვენი მოსახლეობა არ არის ევრომენტალობის.

**— მე თქვენ გკითხეთ ფილიპ დიმიტროვზე, რომელიც საკუთარი ქვეყნიდან კორუფციის ბრალდებითაა გამოგდებული და ჩვენს საქმეებში უხეშად ერევა. თავმოყვარე ერი დიმიტროვს ამდენს ალაპარაკებს?**

– ფილიპ დიმიტროვი რისთვის გამოაძევეს ქვეყნიდან, ამას აღარ აქვს მნიშვნელობა, ახლა მას უკვე სტატუსი აქვს. ესე იგი ევროპელებმა მას მისცეს სტატუსი. ეს იგივეა, ვთქვათ, რა უნდა სააკაშვილს უკრაინაში?.. უკრაინელებს ჰგონიათ, რომ მას საქართველოში ტყუილად დევნიან, მათთვის სააკაშვილი არის გმირი, რომელმაც რადიკალური რეფორმებიდან მიიღო აბსოლუტური შედეგები. მსოფლიო პოლიტიკა სიწმინდესა და მორალზე კი არ არის აგებული, არამედ არის დიდი თამაში, რომელიც ყველა სიბინძურეს კადრულობს. ეს ჰგავს ორგანიზებულ მაფიას. მსოფლიო წესრიგი მოგონილია იმისთვის, რომ არსებობენ დომინანტური სახელმწიფოები და არსებობდნენ სატელიტი სახელმწიფოები. ამერიკულ პოლიტიკურ კლასიფიკაციაში არსებობს სამი ტიპის ქვეყნები: ჩვენნაირ ქვეყანას ეძახიან მესამე სამყაროს ქვეყანას. ჩვენ გვიყურებენ იცით, როგორ? ამ ქვეყანას თუ ყური არ ავუწიეთ, ისე ჭკუას ვერ ისწავლიან... ამას ირონიულად კი არ ვამბობ, ამერიკულ პოლიტოლოგიურ გამოცემაში მოვიხსენიებით, როგორც მესამე სამყაროს ქვეყანა.

**— როცა საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლება აკრძალული იარაღით არბევდა მიტინგებს, კლავდა პოლიტიკურ ოპონენტებს, ხოცავდა მშვიდობიან მოსახლეობას, ქვეყანაში იყო 200 პოლიტპატიმარი. არ მახსენდება არც ერთი განცხადება, რომელიც ხელისუფლებას შეაჩერებდა. რატომ?**

– მე დაგისვამთ კონტრშეკითხვას, რატომ არ არის გამოძიებული 7 ნოემბრის დარბევის აქცია? ეს იყო ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც მათ ხალხის წინაშე ჩაიდინეს. 26 მაისის აქციის დარბევაზე არსებობს ამერიკელების დასკვნა, რომ იქ კანონიერების ფარგლებში იყო ყველაფერი, მაგრამ 7 ნოემბერზე დევს უფრო მწვავე დასკვნა, რომ ძალები იყო არაპროპორციული. 26 მაისი თითქოს გამოიძიეს, მაგრამ 7 ნოემბერს არავინ მიუბრუნდა. რაც ბადრი პატარკაციშვილს გაუკეთეს, ეს ნაკლები მოვლენა გგონიათ, რაც 9 წლის მანძილზე გადაგვხდა? არ იფიქროთ, სუბიექტური ამბიციები მალაპარაკებს, მაგრამ ეს საქმე ტაბუდადებულია, აპატიეს 7 ნოემბერი. ეტყობა, იქ რაღაც ხდებოდა და ამ ხელისუფლებას ამ საკითხის წამოწევა არანაირად არ აწყობს. ამათ შემდეგ ახალი ხელისუფლება რომ მოვა, თქვენ ნახავთ, რომ იგივე დაჭერები დაიწყება. გამორიცხულია, რომელიმემ დანაშაული არ ჩაიდინოს. მე თქვენ გეკითხებით, რა უნდა პროკურატურას მთავრობის შემადგენლობაში? ეს პროკურატურა ხომ არ აღასრულებს სამართალს, რაც მათ კანონით მოეთხოვებათ?.. თუ შენ სამართლიანობის აღდგენის გზით მიდიხარ, მაშინ გამოიყვანე პროკურატურა მთავრობის შემადგენლობიდან,



„ეს საქმე ტაბუდადებულია, აპატიეს 7 ნოემბერი. ეტყობა, იქ რაღაც ხდებოდა და ამ ხელისუფლებას ამ საკითხის წამოწევა არანაირად არ აწყობს. ამათ შემდეგ ახალი ხელისუფლება რომ მოვა, თქვენ ნახავთ, რომ იგივე დაჭერები დაიწყება“



„შემოდგომა საქართველოსთვის რთული იქნება, აუცილებლად გამოჩნდება ახალი პოლიტიკური ძალა და ამას აბსოლუტური დარწმუნებით ვაცხადებ. შემოდგომაზე იქნება ახალი პოლიტიკური ლიდერების ზეიმი, ისინი შექმნიან საპროტესტო მუხტს“

**— ვრცელდება ინფორმაციები, რომ ირაკლი ღარიბაშვილს გუნდის შიგნით მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ კოჰაბიტაციის დასრულების გზაზე, თუმცა კულუარული ინფორმაციით, ცნობილია, რომ ის უკან დახევას არ აპირებს და არჩევნების შემდეგ ყველა დამნაშავეს დაიჭერს.**

– მოდით ახლა, ეს საკითხი ავხსნათ პოლიტიკური ენით. რატომ ვაანონსებდი, რომ არჩევნების შემდეგ დიდი დაჭერები დაიწყებოდა? ახლა გეტყვით, ამ ჩემს განცხადებას საფუძვლად რას ვუდებდი. ხელისუფლებაში ფიქრობენ, თუ ბევრ ადამიანს დაიჭერენ დამნაშავე ოპონენტების სახით, ხალხის თვალში რეიტინგს აიწევენ. ეს არის მოტივაცია. ამ არჩევნებმა აჩვენა, რომ პრაქტიკულად ორი-მესამედი პროტესტს უცხადებს არსებულ ხელისუფლებას და ელექტორალურად მისი მხარდამჭერი აღარ არის. ხალხის ეს ნაწილი არც „ნაცების“ მხარდამჭერია და არც „ოცნების“. ხელისუფლება ჩავარდა საგონებელში, თუ ეს დიდი ჩავარდნა ვერ ამოქაჩეს, მაშინ საპარლამენტო არჩევნებს ვერ მოიგებენ. აქედან გამომდინარე, პოლიტიკას დასჭირდა ძალიან მკაცრი პოზიციის არჩევა, იქნებ დამნაშავე „ნაციონალების“ დაჭერებით მოვიგოთ ხალხის გულიო, მაგრამ დამერწმუნეთ, ხალხს კუჭი აქვს, ტელევიზორს მაშინ წამოუწვება და ტაშს მაშინ დაუკრავს, როცა კუჭი გამაძღარი ექნება. სანახაობა მაშინ არის კარგი, როცა პური გაქვს სახლში. არ მგონია, მარტო დაჭერებმა ხელისუფლებას რეიტინგი გაუზარდოს, სანამ ეკონომიკური რეგულაციები არ ამუშავდება, სანამ ხალხი არ დასაქმდება, მანამდე მივლენ იქამდე, რომ ამ დაჭერებით ხალხის ზიზღს გამოიწვევენ. დაჭერები დასაქმების, ეკონომიკური წინსვლის პარალელურად უნდა ხდებოდეს. დიდი რეფორმების ფონზე დასაშვებია რეპრესიები, მაგრამ როცა უძრაობაა ქვეყანაში, ამ დაჭერებს ეფექტი არ ექნება. რამდენი ხანია, თქვენი გაზეთის საშუალებით ხელისუფლებას ვთხოვ რეფორმებს და ხალხს მიხედონ, ხალხი რეფორმებს ითხოვს, რაც შეეხება ღარიბაშვილს, მას დაჭერებში ხელს ვერავინ შეუშლის ქვეყნის შიგნით, რადგან ყველა პოლიტიკურ ძალას აწყობს „ნაცმოძრაობის“ განადგურება, ვინაიდან წინ მათ საპარლამენტო არჩევნები აქვთ მოსაგები, ღარიბაშვილმა უნდა იფიქროს რეფორმებზე, მან უნდა შექმნას რეფორმების გუნდი, რომელიც შეძლებს გარდატეხას. აქვე გეტყვით, რომ ადგილობრივ არჩევნებს საპროტესტო აქციები არ მოჰყვება, შემოდგომა საქართველოსთვის რთული იქნება, აუცილებლად გამოჩნდება ახალი პოლიტიკური ძალა და ამას აბსოლუტური დარწმუნებით ვაცხადებ. შემოდგომაზე იქნება ახალი პოლიტიკური ლიდერების ზეიმი, ისინი შექმნიან საპროტესტო მუხტს. დარწმუნებული იყავით, ის, ვინც ადგილობრივ არჩევნებს პროტესტი გამოუცხადა, ელოდება ახალი პოლიტიკური ლიდერების გამოჩენას. ეს ძალები გამოჩნდებიან და მათ დაძახილზე გამოვლენ. ეს გაუთვალისწინებელი სირთულეები რომ თავიდან აირიდოს ხელისუფლებამ, ამიტომ ვამბობ, დაჭერების პარალელურად მან უნდა გაატაროს რეფორმა.

**— ფაქტობრივად, ამ კვირის ეპიცენტრში ედუარდ შევარდნაძეა, როგორ ფიქრობთ, მის დაკრძალვაზე ჩამოვლენ პრეზიდენტები? სხვათა შორის ერთმა პოლიტოლოგმა იხუმრა, დიდი ალბათობაა, პუტინიც ჩამოვიდესო.**

– ჩვენ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ გვაქვს და შევარდნაძის დაკრძალვაზე პუტინი არ ჩამოვა, აუცილებლად ჩამოვლენ გერმანელები, ამერიკელები, შეიძლება პირველი პირები არა, მაგრამ საკმაოდ სერიოზული წარმომადგენლობითი დელეგაცია იქნება. რაც შეეხება მეზობელ ქვეყნებს, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის პირველი პირები ჩამოვლენ. შევარდნაძე იყო პირველი პოლიტიკური ფიგურა, ვინმეს მოსწონს ეს თუ არა, ფაქტს ვერსად გაექცევი, მან გააერთიანა გერმანია და ამის გამო გმირად შერაცხეს, ის მონაწილეობდა ცივი ომის თავიდან აცილებაში, მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში, მარტო ეს ჰყოფნის შევარდნაძეს, რომ ისტორიაში შევიდეს.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ნარმანია-მელიას დებატების დრო და ადგილი ცნობილია



„ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის მოლაპარაკებები მერობის კანდიდატებს შორის დებატების გამართვის შესახებ დასრულდა. მხარეებს შორის შუამავლის როლი საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა შეასრულა. ნიკა მელია და დავით ნარმანია ერთმანეთს დებატებში სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ დაუპირისპირდებიან. შეხვედრის დრო კი, სავარაუდოდ, საღამოს 20:30-ის ნახევრიდან 21:30-მდე იქნება.

პირველ კითხვას „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ დასვამს, დანარჩენ მედიასაშუალებებს კი ლოტოტრონის მეშვეობით განესაზღვრებათ კითხვის დასმის რიგითობა.

ტელეკომპანია „მაესტროს“ საინფორმაციოს უფროსის ხელმძღვანელის ნინო ჟიჟილაშვილის განცხადებით, „მაესტრო“ საინფორმაციო გამოშვების დაწყებამდე მიიღებს პირდაპირი ტრანსლირების სიგნალს, 21:00 საათზე კი მაუწყებელი ჩვეულ რეჟიმში დაიწყებს საინფორმაციო გამოშვებას.

ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორის, რევაზ საყევარიშვილის განცხადებით, „მომატებული საზოგადოებრივი ინტერესის გამო გადავწყვიტეთ, დავუთმოთ ჩვენი პირდაპირი ეთერი დებატებს. როგორც დაგეგმილია, საღამოს 20:00 საათიდან ტელეკომპანია „იმედი“ აღნიშნული დებატების პირდაპირ ტლანსლირებას მოახდენს“.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ დებატებს პირდაპირ ეთერში არ გადასცემს.

„ჩვენ გვაქვს ჩვენი დებატების ფორმატი და იმას გადავცემთ პირდაპირ ეთერში. ხვალ დაგეგმილი დებატები ჩვენთან შეთანხმებული არ არის, ეს გვითხრეს რამდენიმე საათით ადრე, ორი საათით ადრე დაგვირეკეს და ჩვენ ჩვენი ბადე გვაქვს, რომელსაც ასე ვერ გადავაწყობთ. ამ დროს ცხრასაათიანი კურიერი გადის, რომელიც არასდროს არ გადაიწევს, არავითარი დებატების გამო. ერთხელ მოხდა ჩვენს ისტორიაში და ეხებოდა გიორგი სანაიას გარდაცვალებას. ასეთი ფორსმაჟორი ნარმანია-მელიას დებატებით ან რაღაც ინტერნაციონალური ფორმატით ჩვენთვის არ არის“, – განაცხადა არხის ხელმძღვანელმა ნიკა გვარამიამ.

დებატების მოდერატორი, სავარაუდოდ, მამუკა ყუფარაძე იქნება. შეთავაზება „სტუდია რეს“ დირექტორმა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდიდან მიიღო. როგორც მამუკა ყუფარაძემ განაცხადა ის ამ შემოთავაზებას დასთანხმდა, თუმცა განმარტა, რომ მიუხედავად ამისა, საბოლოო გადაწყვეტილება, თუ ვინ წარუძღვება მერობის კანდიდატების დებატებს, ამ დრომდე არ არის მიღებული. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მსახიობი ლიანა ასათიანი გარდაიცვალა



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მსახიობი ლიანა ასათიანი.

მე-20 საუკუნის ულამაზესმა მსახიობმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ კინემატოგრაფიაში.

ლიანა ასათიანს ნათამაშები აქვს ისეთ ცნობილ ფილმებში, როგორიცაა: „გიორგი სააკაძე“, „ჭრიჭინა“, „ჭირვეული მეზობლები“, „მაცი ხვიტია“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ერთი ცის ქვეშ“ და სხვა. გარეგნობითა და სამსახიობო არტისტული შესრულებით ლიანა ასათიანი მსოფლიო ვარსკვლავი გახლდათ. (ნიუპოსტი)

**„ალია“ და „ქრონიკა“ სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.**



# რა სიკეთეებს მოიტანს ერგნეთისა და ზუგდიდის თავისუფალი ზონები და არის თუ არა ის წინააღმდეგობაში ასოცირების ხელშეკრულებასთან

**მთავრობა წინა ხელისუფლების მიერ გაუქმებულ ე.წ. ერგნეთის ბაზრობის ალტერნატიულ ვარიანტზე მუშაობს. გავრცელებული ინფორმაციით, მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრები არა მხოლოდ ქვემო ქართლში, არამედ ზუგდიდშიც აშენდება. გამყოფ ხაზთან თავისუფალი ეკონომიკური ზონებიც შეიქმნება. ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე აღნიშნა, რომ ერგნეთის ბაზრობის დახურვა შეცდომა იყო და მის შესაძლო აღდგენაზე ალაპარაკდა. მისმა ოპონენტებმა კი შეახსენეს, რომ ერგნეთის ბაზრობა არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანი არ ყოფილა და იქიდან საქართველოში ძირითადად დაუბეგრავი და აღურიცხავი საქონელი შემოდიოდა.**

**რა სიკეთეებს მოიტანს ერგნეთისა და ზუგდიდის თავისუფალი ზონები და არის თუ არა ის წინააღმდეგობაში ასოცირების ხელშეკრულებასთან, ამასთან დაკავშირებით „ალია“ ექსპერტის ეკონომიკურ საკითხებში, ДЕМУР ГИОРХЕЛИДЗЕ ესაუბრა:**

**— ბატონო დემურ, კახა კალაძემ განცხადება იმგვარად გააკეთა ე.წ. თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ, რომ, როგორც ჩანს, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია. რამდენად მომგებიანი იქნება ეს ამ ეტაპზე?**



– როგორი სტატუსი ექნება მას – თავისუფალი ზონის, თუ ბაზრობის, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი, რადგან ადამიანების გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. ადამიანები კი იმ ურთიერთობას უფრთხილდებიან, რომელსაც სარგებლობა მოაქვს, ამიტომ ერგნეთის ბაზრობის დახურვა თავის დროზე არ იყო გამართლებული, მას ინსტიტუციონალიზაცია სჭირდებოდა, არანაირი საფრთხე იქიდან და კონტრაბანდის შავი ხვრელი არ არსებობდა, რადგან პოლიტიკური ნების შემთხვევაში კონტრაბანდის კონტროლი პრობლემას არ წარმოადგენდა. მაშინ სულ სხვა მოტივები იყო. ახლა კი, თუ ქართველებსა და ოსებს მიეცემათ საქმიანი ურთიერთობების შესაძლებლობა, გაჩნდება ნდობის აღდგენის საფუძველიც და ეს შესანიშნავი იქნება. ჩვენ ახირებული პოლიტიკის გამო ურთიერთობის ყველა ხიდი ჩავტეხეთ, ყველა გზა ავყარეთ, ახლა უნდა დაბრუნდეს ეს ყველაფერი, რადგან ურთიერთობას ვერაფერი ცვლის. ურთიერთობისა და ნდობის აღდგენის გარეშე თანდათანობით ისეთი რთული პროცესები გვექნება, რომ ვერანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ვერ მოხდება.

**— რამდენად უმტკივნეულო იქნება ახლა ამის აღდგენა? საუბრობენ, რომ თავის დროზე ბაზრობის გაუქმება სწორი იყო, ახლა ხელისუფლება რუსეთთან დათბობის პოლიტიკის გამო ასეთ რამეებზეც მიდის და ა.შ.**

– ჩვენ ისეთი ქვეყანა ვართ, სადაც პრაგმატიზმისა და საღი აზრის პოლიტიკა არ მუშაობს, აქ მარტო ვიწრო პარტიული ინტერესები დომინირებს, ამიტომ ეს ყალბი ყაყანიც სწორედ ამ ვიწრო პარტიული და დემაგოგიური ჩარჩოს ფარგლებშია. არანაირ საფრთხეს არ შეიცავს ეს ბაზარი, რა შუაშია რუსეთთან ურთიერთობებზე საუბარი, როცა საუბარია ელემენტარულ რამეზე – იმ ხალხთან ურთიერთობის აღდგენაზე, რომელიც შენი ორგანული ნაწილი იყო და ფაქტობრივად, სულ ქართულ სივრცეში მოიაზრებოდა. გაიხსენეთ შერეული ქორწინებები, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამიტომ ახლა, თუ უარს ვამბობთ ცხინვალის რეგიონზე და იმ ოსი ეროვნების ადამიანებზე, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები იყვნენ და ილტვოდნენ ქართველობისკენ, უნდოდათ, ჩვენი განურჩეველი ნაწილი ყოფილიყვნენ, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ აქამდე მივიყვანეთ საქმე. ის, რომ

**„ერგნეთის ბაზრობის დახურვა თავის დროზე არ იყო გამართლებული, მას ინსტიტუციონალიზაცია სჭირდებოდა, არანაირი საფრთხე იქიდან და კონტრაბანდის შავი ხვრელი არ არსებობდა, რადგან პოლიტიკური ნების შემთხვევაში კონტრაბანდის კონტროლი პრობლემას არ წარმოადგენდა“**

რუსეთმა გაგვითამაშა კარტი, ესეც ჩვენი სულელური პოლიტიკის შედეგი იყო. ამიტომ საკუთარ სიგლახეს სხვას ნუ დავაბრალებთ. არანაირი

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

**საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, შემდეგი მიმართულებებით:**

ა) მედიცინა;
ბ) სტომატოლოგია;
გ) სამართალი;
დ) ბიზნესის ადმინისტრირება;
ე) ფინანსები;
ვ) ტურიზმი;
ზ) ჟურნალისტიკა;
თ) ინგლისური ფილოლოგია.



**კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) განმცხადებლის რეზიუმე **(CV)**;
დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების (პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 6-წლიანი, ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 3-წლიანი) დამადასტურებელი დოკუმენტი;
ზ) შესაბამის მიმართულებაში/დარგში ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ჩამონათვალი;
თ) სასწავლო კურსების სილაბუსები;
ი) 2 ფოტოსურათი 3X4.

**საბუთების მიღება იწარმოებს 2014 წლის 11 აგვისტოდან 23 აგვისტოს ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №25.**
**კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2014 წლის 1-ლი სექტემბრისა.**
**დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: 577 57 60 50.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ევანგელისტური ბანაკი ბოლნისში და მართლმადიდებელი მრევლის პროტესტი




ბოლნისში ქრისტიანულ-პროტესტანტულ-ევანგელისტურ სამლოცველო სახლში ერთკვირიანი ბავშვთა ბანაკი „საუკეთესო მეგობარი“ გაიხსნა, სადაც მიწვეული არიან ექვსიდან თხუთმეტ წლამდე ბავშვები. ბანაკში სპეციალურად შემუშავებული პროგრამა მოქმედებს. ბავშვებს ბანაკში ჩაუტარდებათ ინგლისურის, მუსიკის, სპორტის გაკვეთილები, ბიბლიური ისტორიები. ბანაკის გახსნას ამერიკიდან ჩამოსული პროტესტანტული ეკლესიის მრევლი ესწრებოდა. პარალელურად სამლოცველო სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურებმა და მრევლმა საინფორმაციო ხასიათის აქცია მოაწყვეს. დაარიგეს ეპარქიის მიერ დაბეჭდილი ფლაერები, სადაც ევანგელისტურ-ბაპტისტთა სექტის მოკლე ისტორიაა ასახული, მართლმადიდებლებს მოუწოდეს, რომ სამლოცველო სახლში შესვლისგან თავი შეიკავონ და იზრუნონ სულის გადარჩენაზე.

დეკანოზი არჩილი, დაბა კაზრეთის სამების ტაძრის წინამძღვარი: „ბანაკის მთავარი მიზანია, მართლმადიდებელ ბავშვებს ჩაუნერგონ პროტესტანტული სული, ეკლესიისადმი ეჭვი და ა.შ. ჩვენ შევიკრიბეთ, რომ აქ მოსულებს ავუხსნათ მათი მიზნები, რის სწავლას ემსახურება პროტესტანტულ-ევანგელისტური ბანაკი. აქ დასწრება მძიმე ცოდვაა ღვთის წინაშე“.

ნიკა ასლამაზაშვილი, პროტესტანტულ-ევანგელისტური სამლოცველო სახლის წარმომადგენელი: „ბავშვები ბანაკში ოთხ საათამდე არიან. დილა ქრისტიანული საგალობლით იწყება, შემდეგ ვთამაშობთ, ვაწყობთ ბიბლიურ გაკვეთილებს, ვუხსნით, როგორ შეიქმნა სამყარო. ბანაკის გახსნის იდეა ევანგელისტურ-პროტესტანტულ ეკლესიას ეკუთვნის, ეს ქრისტიანული ბანაკია და ყველას შეუძლია მოსვლა“. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*



საფრთხე, არანაირი რევერანსები რუსეთთან საჭირო არაა ამ საკითხზე, თუმცა საერთოდ დასაჯდომი და სალაპარაკო რომ არის პოლიტიკური თემების დასალაგებლად, ამას წყალი არ გაუვა. ვისაც რამდენი უნდა, იმდენი იყაყანოს, მთავარია, პოლიტიკოსებს ეყოთ იმის გამჭრიახობა და პასუხისმგებლობა, რომ ქვეყნის წინაშე არსებული ძალიან დიდი საფრთხეები მოხსნან თანდათანობით.

**— ეკონომიკურად, რას მოგვცემს ეს ბაზრობა?**

– მოსახლეობა ორივე მხრიდან მიიღებს იმას, რომ ურთიერთობა აღდგება და მათთვის საჭირო საქონელს შეიძენენ იოლად, ახლოს მცხოვრებნიც და სხვებიც. ეს ცუდი ვერაფრით იქნება ვერავისთვის.

**— ადრე ნარკოტიკი და კონტრაბანდული ტვირთი შემოდიოდა ამ გზით, ახლა რა გარანტიაა, რომ იგივე არ მოხდება?**

– ნარკოტიკები ვერ შემოვა, ეს ელემენტარული გასაკონტროლებელია; ვერც კონტრაბანდა შემოვა... ეს „ბრალდებები“ ადრე იმის გამო იყო, რომ ქართველ „ბობოლა“ კონტრაბანდისტებს, რომლებსაც ახლობლები ხელისუფლებაში ჰყავდათ, არ აწყობდათ კონკურენტები. ასეთი ფაქტიც არსებობს, რომ ჩიბიროვი ითხოვდა 5 000 ტონა ბენზინის ლეგალურად შემოტანის უფლებას და სხვა საქონელსაც კვოტირებულად, ოფიციალურად, ქართველმა ბედოვლათმა გალორებულმა კონტრაბანდისტებმა უდიდესი სახელისუფლებო მხარდაჭერით, არ დაუშვეს ეს! ასეა, როცა რაიმე გინდა შენიღბო, უნდა ლეწო ის, რაც შენს მიზნებს შენიღბავს! ასე მოხდა მაშინაც, როცა ერგნეთი წარმატებით მუშაობდა.

**— „თავისუფალი ზონის“ გაკეთებით წინააღმდეგობაში არ მოვალთ ასოცირების ხელშეკრულებასთან, ხელს არ შეგვიშლის?**

– არანაირი საფრთხე ასოცირების ხელშეკრულებას არ ემუქრება, იქიდან გამომდინარე, რომ, ჯერ ერთი, ასოცირების ხელშეკრულება შევა ძალაში, როცა ყველა ევროპული ქვეყანა რატიფიცირებას მოახდენს, ამიტომ ეს ხელშეკრულება ჩვენი სასიცოცხლო პრობლემების მოგვარებას არ გვიკრძალავს. სხვა ვერსია ამ საკითხის არის ცალკეული ჯგუფების პროპაგანდა, რომელიც პოლიტიკანური მოსაზრებით ცდილობს იმის აღნიშვნას, რომ თითქოს ევროპული ორიენტაცია ზიანდება ამით. რა ზიანდება? შენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ და ურთიერთობის გაბმისკენ თუ ნაბიჯს გადადგამ, ეს როგორ ეწინააღმდეგება ევროპულ ორიენტაციას? ეს არის წმინდა წყლის დემაგოგია.

**— რა სახის საქონელი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ამ ბაზრობებზე, როცა ვიცით, რომ ასოცირების ხელშეკრულებებით ვალდებულებები ამ მიმართულებით გაწერილია?**

– არანაირი წინააღმდეგობა ასოცირების ხელშეკრულებასთან არ არსებობს. ამ ბაზრის ორგანიზების შემთხვევაში, იქ თავისუფალი მოვაჭრეები მიიტანენ იმ საქონელს, რომელზეც მოთხოვნა იქნება, როგორც ერთი მხრიდან, ისე მეორე მხრიდან. ასე რომ, ჩვენ ამაში არ უნდა ჩავერიოთ, მთავარია, ბაზარი დაცული იყოს კანონის ფარგლებში და საშუალება მიეცეთ ქართველებს და ოსებს, თავისუფლად იურთიერთონ ერთმანეთთან. დანარჩენი სასაუბრო არაა, ყველაფერი დემაგოგიაა ამის იქით.

**„ფორმატი შეიცვლება, აღდგება საბაჟო გადასახადები, სავაჭრო რეჟიმები შეიცვლება და რუსები ამას გამოიყენებენ. თუმცა ვერც ამაში ვხედავ ტრაგედიას, ეს ჩვენი არჩევანია. ჩვენ არანაირი პასუხი არ გვქონდა რეალური. იმის იმედი გვაქვს, რომ შეგვინარჩუნდება საშეღავათო რეჟიმები. მე მგონი, ეს ასე არ იქნება“**

**— რამე საფრთხე შეიძლება მოჰყვეს ამ ბაზარს? იქვე რუსის ჯარი დგას...**

– ნულოვანი საფრთხეა მოსალოდნელი. არ შეიძლება, შენ პრობლემის გადაჭრისკენ პირველ ნაბიჯებს დგამდე, ნდობის აღდგენაზე ზრუნავდე და ეს საფრთხეს შეიცავდეს. ეს ადამიანები ჭირსა და ლხინში დაახლოვდნენ, მერე კი ჩვენ გადავუკეტეთ გზები. ახლა თუ ეს გზები აღდგება, წინ წავალთ.

**— გაამართლებს თქვენი აზრით?**

– ეს არის პატარა ნაბიჯი, რომლითაც ნდობის აღდგენამდე მივდივართ. ამას კიდევ უამრავი ნაბიჯი სჭირდება, მაგრამ რაღაცით უნდა დაგვეწყო. პრაგმატული მოსაზრებით, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის დაწყება ცუდი არ არის.

**— რა ნაბიჯები უნდა მოჰყვეს ამას შემდგომში?**

– ხელისუფლება უნდა მიიჩნევდეს, რომ ცხინვალის რეგიონი არის მისი ორგანული ნაწილი, ამიტომ მეორე ნაბიჯი უნდა იყოს ის, რომ იქაურ ხელისუფლებასთან, სერიოზული სოციალური პროგრამების განხორციელებას უნდა მიაღწიოს და არ უნდა დაუშვას ის, რომ ცხინვალის რეგიონი იზოლირებული იყოს. თუ ჩვენ გვინდა ამ ხალხის ნდობა დავიბრუნოთ, მათ უნდა ვაჩვენოთ, რომ დაინტერესებული ვართ მათი კეთილდღეობით, მათი ჯანმრთელობითა და შვილების განათლებით, სხვანაირად ისტორიის დემაგოგიის ფოლიანტებში ტრიალი არის სრულიად უშედეგო.

**— სოციალური ფონი დანარჩენ საქართველოშიც რთულია, როგორ გინდა, დააინტერესო ის ხალხი ამით, როგორ დაარწმუნებ, რომ სასათბურე პირობებს შეუქმნი?**

– ყველაფერი დამოკიდებულია მცდელობებზე, კაცი როცა რამეს აკეთებს, რა გულით აკეთებს, იოლად იშიფრება, ამიტომ ჩვენი ხელისუფლება თუ სწორი დაინტერესებით იმოქმედებს, მალე ეს ბაზრობა აღდგენილი ხიდი გახდება.

**— წეღანაც გკითხეთ, რამდენად დაცული და უსაფრთხო იქნება ეს ზონა?**

– ვფიქრობ, თუ ეს შეთანხმება მოხდა, მაშინ ცხინვალის მხარეც და ქართული მხარეც დაინტერესებული იქნება ტერიტორიის უსაფრთხოებით, რადგან მე ნაკლებად მოველი რაიმე სახის პროვოკაციას. ადამიანები, ვისაც ერთმანეთთან კავშირი უნდა ჰქონდეთ, დღეს არ იწყებენ ურთიერთობას, მათ მეხსიერებაში შენარჩუნებული აქვთ ის, რომ ტერიტორიის დაცულობა არის აუცილებელია.

**— როგორი სახის ბაზრობა აჯობებს, თქვენი აზრით, მხოლოდ გლეხებმა რომ გაყიდონ თავისი პროდუქცია, თუ რამე სახის ფირმებიც განთავსდეს იქ?**

– თუ კანონის ფორმით იქნება ეს ჩამოყალიბებული, მაშინ იქნება იმის შესაძლებლობაც, რომ იქ ერთობლივი, ან რომელიმე მხარის ფირმები იქნას გახსნილი.



**„სხვა ვერსია ამ საკითხის არის ცალკეული ჯგუფების პროპაგანდა, რომელიც პოლიტიკანური მოსაზრებით ცდილობს იმის აღნიშვნას, რომ თითქოს ევროპული ორიენტაცია ზიანდება ამით. რა ზიანდება? შენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ და ურთიერთობის გაბმისკენ თუ ნაბიჯს გადადგამ, ეს როგორ ეწინააღმდეგება ევროპულ ორიენტაციას? ეს არის წმინდა წყლის დემაგოგია“**

**— მერე რუსეთი ამაზე დასთანხმდება ასე იოლად?**

– რუსეთს არ აქვს სურვილი და რომც ჰქონდეს, დიდად ვერ შეუშლის ხელს ორი მხარის სავაჭრო კონტაქტს. ეს არ არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენ და ცხინვალის მხარე ვიღებთ და ამით ფაქტის წინაშე ვაყენებთ სამყაროს. ნეტამც ასე იყოს, მაშინ ვერც ამას შეეწინააღმდეგება რუსეთი. ის დაელოდება სავაჭრო ზონის შექმნას, ხელს არ შეუშლის, რადგან ბერკეტები გარკვეული მოლაპარაკებებისა, მის ხელშია. ის არ ასუსტებს ამ ბერკეტებს, ეს ფაქტია. ჩვენც არ ვმოქმედებთ პოლიტიკური ხერხებით, ველოდებით.

**— არაპროგნოზირებად სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე, ჯარი რომ მომაყენოს იქ, როგორ ვივაჭრო?**

– მარტივად გეტყვი, დიდად პროგნოზირებადი არც ჩვენ ვართ. პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველამ კარგად ვიცით ერთმანეთის თამაშის წესები, ამიტომ არაპროგნოზირებადებთან თანამშრომლობის გამოცდილებაც გვაქვს.

**— ახლა ჩეხეთში იმყოფებიან ჩვენი ეკონომიკის ექსპერტები ეკონომიკურ თანამშრომლობაზე სასაუბროდ, საგარეო საქმეთა მინისტრი ზოგადად საუბრობს, რუსეთის მხრიდან კითხვები იყოო და არაფერს აკონკრეტებს. ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, რაზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი?**

– ერთი აშკარა რამ არსებობს, ჩვენი ევროკავშირის სივრცისკენ ორიენტაცია არ მოგვცემს საშუალებას სხვა ეკონომიკური სივრცის სიამეებით სარგებლობისა, ფორმატი შეიცვლება, აღდგება საბაჟო გადასახადები, სავაჭრო რეჟიმები შეიცვლება და რუსები ამას გამოიყენებენ. თუმცა ვერც ამაში ვხედავ ტრაგედიას, ეს ჩვენი არჩევანია. ჩვენ არანაირი პასუხი არ გვქონდა რეალური. იმის იმედი გვაქვს, რომ შეგვინარჩუნდება საშეღავათო რეჟიმები. მე მგონი, ეს ასე არ იქნება. რუსეთს ჰქონდა ერთი საკითხი გასარკვევი – თუ მიდიხარ იქით, მაშინ მე გიცვლი თამაშის წესებსო. ჯერჯერობით ქართული მხარე ვერაფერს პასუხობს. ყოველმხრივი სიამოვნება არ არსებობს, შენ ან ერთ მხარეს იღებ სიამოვნებას და მეორე მხარეს ასუსტებ, ანდა შენ დგები იმ პოზიციაზე, რომ გინდა, ყველას ასიამოვნო. ამას კი რა სახელი ჰქვია, მკითხველიც მიხვდება.

**„ალია“ რუსი და ქართველი ექსპერტების შეხვედრის დეტალების გარკვევას საგარეო საქმეთა სამინისტროში ცდილობდა. გვაინტერესებდა, რა კითხვები ჰქონდათ რუსებს და ჩვენი დელეგაციის წევრებმა რა უპასუხეს. სამინისტროში არაერთხელ დავრეკეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, პრესსამსახურის არც ერთმა თანამშრომელმა არ გვიპასუხა. უკვე მერამდენედ არ გამოდიან კონტაქტზე და საინტერესოა, რისთვის ვუხდით მათ ხელფასს?**

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## შსს-მ ე.წ. „მაზავშიკები“ დააკავა



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გურჯაანსა და თბილისში ერთდროულად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, რეგისტრაციის ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე განხორციელებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდებით, დანაშაულებრივი ჯგუფის 4 წევრი, ე.წ. „მაზავშიკები“: 1990 წელს დაბადებული ავთანდილ ბ., 1989 წელს დაბადებული გიორგი გ., 1984 წელს დაბადებული ზურაბ ბ. და 1974 წელს დაბადებული ვლადიმერ ჭ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები მიმდინარე საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებსა და ასევე, სხვა სპორტულ თამაშებზე, მობილური ტელეფონისა და ინტერნეტის საშუალებით, მოქალაქეებისგან უკანონო ფსონებს იღებდნენ. სპორტული თამაშების შედეგების მიხედვით, დათქმულ დროს აბარებდნენ და იბარებდნენ ე.წ. თავნებს. თავანის ჩაბარების დაგვიანების შემთხვევებში ბრალდებულებსა და მოქალაქეებს შორის ხშირად იმართებოდა გარჩევები.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი ჩხრეკისას თავანის სახით აღებული ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება რეგისტრაციის, ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე, ანდა სანებართვო ან სალიცენზიო პირობების დარღვევით, ჯგუფურად ჩადენილი უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გამოჯანმრთელებული შველი ეროვნულ პარკში გაუშვეს



აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ავრცელებს.

„ვანის რაიონის, სოფელ ძულუხში, ტყიდან გამოქცეული შველი ადგილობრივი მაცხოვრებლის საკარმიდამო ნაკვეთში აღმოჩნდა. დეპარტამენტის თანამშრომლებმა შველს, რომელსაც მრავალი ნაიარევი ჰქონდა, ყველა საჭირო დახმარება აღმოუჩინეს და დროებით, სრულ გამოჯანმრთელებამდე თბილისის ზოოლოგიურ პარკს მიაბარეს.

სპეციალისტების დასკვნით ცხოველი უკვე ჯანმრთელია და მისი ველურ გარემოში დაბრუნება პრობლემას არ წარმოადგენს. შესაბამისად, გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ზოოპარკის თანამშრომლებმა შველი ბუნებრივ გარემოში, თბილისის ეროვნულ პარკში გაუშვეს“, – აცხადებენ გარემოს დაცვის სამინისტროში. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# მარგველაშვილი სააკაშვილს 14 ივლისს საფრანგეთში შეხვდება?



„როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი და მისი მინისტრები ბათუმში ჩავიდნენ ხელმოწერის აღსანიშნავად, გიორგი მარგველაშვილი სასტუმრო „შერატონში“ იმყოფებოდა, მაგრამ თითქმის შეუმჩნევლად გამოიპარა“

წყაროს ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი კიევში (პოროშენკოს ინაუგურაციის დროს) ვანო მაჭავარიანის, დავით ბაქრაძისა და ლობისტ რაფაელ გლუკსმანის შუამავლობით მიხეილ სააკაშვილს შეხვდა, ირაკლი ღარიბაშვილს სათოფეზეც აღარ ეკარება. მართალია, ამ შეხვედრის შემდეგ მარგველაშვილმა განაცხადა, სააკაშვილს მხოლოდ ქუჩაში გადავეყარეო, მაგრამ ეს საქართველოში არავინ დაიჯერა. სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრმა არაერთხელ სცადა, გაქსუებული პრეზიდენტი სახელისუფლებო გუნდში დაებრუნებინა, 26 მაისს ლამის ზედ გადაჰყვა, მოლაპარაკებაც სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კიდევ ერთი უხერხული მომენტი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მეორე დღეს დაფიქსირდა: როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი და მისი მინისტრები ბათუმში ჩავიდნენ ხელმოწერის აღსანიშნავად, გიორგი მარგველაშვილი სასტუმრო „შერატონში“ იმყოფებოდა, მაგრამ თითქმის შეუმჩნევლად გამოიპარა. წინა დღეს ის და ირაკლი ალასანია სამხედრო საკითხებზე გაერთულ კონფერენციას ესწრებოდნენ. გაიგო თუ არა მარგველაშვილმა, ირაკლი ღარიბაშვილი ბათუმში ჩამოვიდაო, ეგრევე მოცოცხა იქიდან.

და მაინც, ვინ არის ჩართული მარგველაშვილის მთავრობასთან დაპირისპირებაში? რა თქმა უნდა, ეს პირველ რიგში „ნაციონალების“ ინტერესებში შედის, მაგრამ სიტუაცია ნამდვილად არ ვითარდება ნადირაშვილებისა და ჯაფარიძეების დონეზე, ამ საქმეში უკვე წონიანი ფიგურები მონაწილეობენ – ამერიკელი ლობისტი, რაფაელ გლუკსმანი და ვიქტორია ნურლანდი, რომლებმაც მას მოუწყვეს შეხვედრა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან. პრინციპში, ეს იყო შეხვედრა დაჩქარებული წესით, სურათების გადასაღებად. როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან“ საუბარში, მარგველაშვილისთვის ბაიდენთან სურათის გადაღება ძალიან მომხიბლავი აღმოჩნდა. მით უმეტეს, მაშინ უფრო გაგიჟდა, როცა სააკაშვილის მიერ დაქირავებული ლობისტები დაჰპირდნენ, 14 ივლისს საფრანგეთში ბასტილიის აღების დღის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებაზე მოსაწვევს „გაგიჩალიჩებთო“. არ არის გამორიცხული, მოსაწვევი მიხეილ სააკაშვილმაც „დაითრიოს“ და პარიზში ჩავიდეს. ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ შედგება „ისტორიული“ შეხვედრა ყოფილ და ახლანდელ პრეზიდენტებს შორის. იგივე წყაროს ინფორმაციით, „ნაციონალებისა“ და მათი ლობისტების გეგმა ამით არ სრულდება:

„7 ივლისს მარგველაშვილის ახალი მრჩეველი საგარეო საკითხებში, თენგიზ ფხალაძე შეხვდა მამუკა კუდავას, ნიკოლოზ ხარშილაძესა და „ნაციონალებთან“ დაახლოებულ სხვა ექსპერტებს. ეს არის კიევში შემდგარი მარგველაშვილ-სააკაშვილის შეხვედრის გაგრძელება. ვინ არის თენგიზ ფხალაძე? სანამ ის პრეზიდენტის მრჩევლად დაინიშნებოდა, სანამ ვანო მაჭავარიანის ადგილს დაიკავებდა, ხელმძღვანელობდა გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრს. სხვადასხვა წლებში იყო სახელმწიფო მეთაურის დიპლომატიური პროტოკოლის სამსახურის უფროსი, პრეზიდენტის (სააკაშვილის) რწმუნებულის მოადგილე მცხეთა-მთიანეთში. ასევე, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურის ხელმძღვანელი. მოკლედ, ფხალაძეს „ნაციონალური“ წარსული აქვს და თავისი დიპლომატიური გამოცდილებიდან გამომდინარე, ძალიან კარგ ურთიერთობაშია გაექსპერტებულ მამუკა კუდავასთან, რომელიც 2012 წლამდე საქართველოს ელჩი გახლდათ საფრანგეთში. მას შემდეგ, რაც ვადა ამოეწურა, თბილისში დაბრუნდა და ყოველდღე მიხეილ სააკაშვილზე ლოცულობს. მას მიაჩნია, რომ დღეს თუ საქართველო დამოუკიდებელია, ეს ნიკოლა სარკოზისა და პარიზის დამსახურებაა. რომ არა მამუკა კუდავა და საფრანგეთი, 2008 წლის აგვისტოში რუსეთი მთლიანად დაიპყრობდა საქართველოს. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ჰგონია. ვინაიდან ვანო მაჭავარიანს სააკაშვილთან შეხვედრების ჩაწყობა გაუბაზრდა და მარგველაშვილიც უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ეს საქმე ახლა თენგიზ ფხალაძემ იკისრა. ის 7 ივლისს ამიტომაც შეხვდა „ნაციონალ“ ექსპერტებს. სხვათა შორის, ამ შეხვედრის მცირე მონაკვეთი, ანუ მცირე ინფორმაცია ტელევიზიითაც გავიდა, მაგრამ ეს განგებ გაკეთდა, რათა ეჭვი არავის შეეტანა. სინამდვილეში კი დახურულ კარს მიღმა სხვა ლაპარაკი წავიდა. მაგალითად, კუდავას აქვს იდეა, რომ ივანიშვილის კოჰაბიტაციამ არ იმუშავა და ახლა დასაგეგმია სრულიად განსხვავებული და თანაც 3-წლიანი კოჰაბიტაცია. დღეს რომ ქართველ ხალხს კიდევ 3-წლიანი კოჰაბიტაცია გამოუცხადო, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება? სამწუხაროა, რომ თავად მარგველაშვილი ამ შეთავაზებას ეთანხმება. გაიხსენეთ, ის ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ამბობდა, გავხდები თუ არა პრეზიდენტი, კოჰაბიტაცია დამთავრდებაო. ე.წ. ექსპერტების შეხვედრაზე საუბარი იყო იმაზეც, რომ მთავრობა თურმე ცდილობს, საერთოდ დააკნინოს პრეზიდენტის ინსტიტუტი და მარგველაშვილი დაჩმორებულ მდგომარეობაში ამყოფოს.



„ეს საქმე ახლა თენგიზ ფხალაძემ იკისრა. ის 7 ივლისს ამიტომაც შეხვდა „ნაციონალ“ ექსპერტებს. სხვათა შორის, ამ შეხვედრის მცირე მონაკვეთი, ანუ მცირე ინფორმაცია ტელევიზიითაც გავიდა, მაგრამ ეს განგებ გაკეთდა, რათა ეჭვი არავის შეეტანა. სინამდვილეში კი დახურულ კარს მიღმა სხვა ლაპარაკი წავიდა“

ეს კიდევ არაფერი, თურმე დღეს გარკვეული ძალები ცდილობენ, პრეზიდენტი სრულ იზოლაციაში მოაქციონ. მარგველაშვილს ჩასჩიჩინებენ, რომ მას მალე დარჩენილ უფლებებსაც ჩამოართმევენ და მარტო ყავის სმის უფლებასღა დაუტოვებენ, ამიტომ, სანამ დროა, მან საკუთარი გუნდი უნდა შექმნას და საერთაშორისო კავშირებიც გაჭრას, ამ საქმეში დახმარებას მიხეილ სააკაშვილის ლობისტები ჰპირდებიან. ერთი სიტყვით, მარგველაშვილი უკვე გასულია ქართველი ხალხის „მომსახურების ზონიდან“ და თითქმის მთლიანად არის მოქცეული სააკაშვილის გავლენის ქვეშ“.

სხვათა შორის, ე.წ. გაექსპერტებული ყოფილი ელჩები, ყოფილი კონსულები თუ სააკაშვილის ყოფილი ხელქვეითები მარგველაშვილს ჩააგონებენ, რომ მის წინააღმდეგ მთავრობის მხრიდან ადგილი აქვს საბოტაჟს და ის ვალდებულია, თავი გადაირჩინოს. სანამ თენგიზ ფხალაძეს მარგველაშვილი თავის მრჩევლად დანიშნავდა, „ალიასთვის“ ის ადვილად მისაწვდომი გახლდათ, თუმცა ახლა უკვე აღარ გამოდის კავშირზე. მე პირადად მას 7 ივლისს წერილიც გავუგზავნე, მაგრამ ამ წუთამდე პასუხი არ ჩანს. თუ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ინებებს დალაპარაკებას, დიდი სიამოვნებით მოვუსმენთ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 16 ივლისიდან ავტობუსების რაოდენობა მცირდება



16 ივლისიდან თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის განრიგი იცვლება. ეს ყოველივე ზაფხულის სეზონის დაწყებას უკავშირდება.

თბილისის მერიის ცნობით, ამჟამად მოძრავი 481 ერთეული ავტობუსი 16 ივლისიდან 30 ავტობუსით შემცირდება და ქალაქის მასშტაბით 451 ერთეული იმოძრავებს. მუნიციპალური ტრანსპორტი ჩვეულ განრიგს 16 სექტემბერს დაუბრუნდება.

თბილისის საქალაქო მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება საზაფხულო რაოდენობებზე დედაქალაქის მთავრობის დადგენილებით, 21 ივნისიდან გადავიდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კონსტანტინე გამსახურდია შევარდნაძეზე საუბრობს



პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილი კონსტანტინე გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებას სოციალური ქსელით ეხმაურება.

„როდესაც თვალი გადავავლე გამოხმაურებებს ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებაზე, ჩემთვის ერთი რამ გახდა თვალშისაცემი: ერთნი, განადგურებულნი და რეპრესირებულნი, ვის თავზეც წისქვილის ქვაღა დარჩა დასაბრუნებელი, სასტიკად გმობენ და აძაგებენ მას სამშობლოს წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამო. გიფიქრიათ, რამდენად სამართლიანი და ობიექტური იქნებოდა მათთან შედავება?

მეორენი საუბრობენ მის პოლიტიკურ ფორმატზე, მის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ მიღწევებზე. ამ გრანდიოზული პოლიტიკური პროექტების ფონზე რეპრესირებულები, განადგურებულები საერთოდ არ განიხილებიან, როგორც ფაქტორი.

ჩემი ცხოვრების 42 წლის მანძილზე ედუარდ შევარდნაძე მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ჩემი, ჩემი თაობისა და ჩემი თანამოქალაქეების ბედს, რომელიც საკმაოდ მძიმე გამოდგა. მიმაჩნია, რომ მეც ერთ-ერთი ვარ მის მრავალრიცხოვან მსხვერპლთაგან, დაზარალებული ადამიანურად, პოლიტიკურად, სამართლებრივად, სოციალურად და რა უნდა ვთქვა? დიდსულოვნების თამაშს ნამდვილად ვერ დავიწყებ, ვერც ვეცდები, ამ წუთს გავხდე ასეთი, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა აქეთკენ მოგვიწოდებს. ამის უფლებას თუნდაც ჩემი განადგურებული მეგობრებისა და ახლობლების აჩრდილები არ მომცემენ, მამაზე რომ არაფერი ვთქვა – ის ხომ საქართველოს დანაკარგია და არამარტო ჩემი ოჯახის. ვცდილობ და ყოველთვის ვეცდები, არავინ მძულდეს, და არც დაუმსახურებლად მიყვარდეს ვინმე. ყოველთვის მწამდა სამყაროში ზნეობრივი წესრიგის არსებობა, სადაც ყველა საბოლოოდ იმას მოიმკის, რასაც დასთესს“, – წერს გამსახურდია „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

# გიორგი შენგელაია გურამ ოდიშარიას ომს უცხადებს!



**ცნობილი კინორეჟისორები, გიორგი და ელდარ შენგელაიები ივნისის შუა რიცხვებში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდნენ. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ეკონომიკის მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი სასწრაფო წესით მოამზადებდა დოკუმენტაციას და კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ გურამ ოდიშარიას გადასცემდა, ანუ კულტურის სამინისტროს.**

**თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ამაზე „ალიას“ თავად გიორგი შენგელაია ესაუბრება:**

– ჩემი იდეა არის და იქნება, რომ აუცილებლად უნდა აღდგეს კინოსტუდია „ქართული ფილმი“. ამ საკითხს ვაყენებდით სხვადასხვა დონეზე, ჯერ ეკონომიკის მინისტრთან იყო საუბრები, რომელიც იზიარებდა ამ იდეას. ეს კაცი შეგნებულად უდგებოდა ამ საკითხს და ყოველთვის ამბობდა, კინოსტუდია ხელოვნების სფეროს ეკუთვნის და ეკონომიკის სამინისტროს საერთოდ უნდა მოვაშოროთო. მე მგონი, მე და ჩემს ძმას კინოში რაღაცა გვეკითხება. გარდა იმისა, რომ ამ სფეროში რაღაცა გაგვიკეთებია, ჩვენს უკან დგანან ნიკოლოზ შენგელაია და ნატო ვაჩნაძე, რომლებმაც თავის დროზე დააარსეს კინოსტუდია. ამიტომ, მე მეცოდება, რომ ასეთი სახელოვანი წარმოება ამ ლაყაფსა და გარჩევებში საერთოდ გაქრეს. მოკლედ, მომეჩვენა, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა გაიზიარა ჩემი პოზიცია და იქვე, ჩემი თანდასწრებით ჰკითხა კვირიკაშვილს: როგორ თვლი, მიზანშეწონილად მიგაჩნია, კინოსტუდია კულტურის სამინისტროს გადასცეო?

**— ბატონო გიორგი, ძალიან საინტერესოა ღარიბაშვილთან შეხვედრის დეტალები, თქვენი ძმის, ელდარის გარდა იქ კიდევ ვინ იყო?**

– მე მოვითხოვე, რომ ამ შეხვედრას დასწრებოდნენ გიორგი კვირიკაშვილი და გურამ ოდიშარია, რათა ერთხელ და სამუდამოდ გათავებულიყო ეს ბაზარი. ეკონომიკის მინისტრი მოვიდა, მაგრამ ბატონი ოდიშარია წაბრძანდა კვიპროსში. მე არ მინდა, ვთქვა, რომ ღარიბაშვილმა ყველაფერი გაიზიარა, მან საკითხი სწორად გაიგო. კვირიკაშვილთან მომთავრდა ყველაფერი, მან უთხრა, ეს არ არის ჩემი საქმე, ჩემი კომპეტენცია ამას არ ჰყოფნის და გადავცეთ კულტურის სამინისტროსო. პრემიერ-მინისტრმა იქვე გვითხრა მე და ჩემს ძმას: ახლა თავისუფლები ხართ, ამ საკითხს უახლოეს დღეებში გავიტან მთავრობის სხდომაზეო. კვირიკაშვილს დაავალა, შენ და ოდიშარიამ მოამზადეთ დოკუმენტაციაო. ამ ადამიანმა ერთ კვირაში ყველაფერი მოამზადა, დაითვალა ყველაფერი, იქ რა შენობებია, რა ფართობია, რა მიწაა და ასე შემდეგ. ამის მერე ყველაფერი გადასცა ოდიშარიას, მაგრამ ამან გაწელა და ფაქტობრივად, არ მიიღო. ვურეკავ, ტელეფონს არ იღებს და მერე სხვა არხებით გავარკვიე, რომ ის შესულა ირაკლი ღარიბაშვილთან და უთქვამს, კარგი იქნებოდა, სამთავრობო კომისია შეგვექმნაო. ოდიშარია დემოკრატიულს მიაწვა და შეიქმნა კომისია, რომელშიც შეიყვანეს 5 მინისტრი. ესენი არიან: საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, დიასპორის მინისტრი კოტე სურგულაძე, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, შემდეგ კვირიკაშვილი და ოდიშარია. ახლა მე საზოგადოებას ვეკითხები, რა იცის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ან დიასპორის მინისტრმა, რა ხდება კინოსტუდიაში? რატომ უნდა გადაწყვიტონ ამ ადამიანებმა ხელოვნების საკითხები? აქ დგას მეორე პრობლემაც, ჯერ უნდა განვიხილოთ, გვჭირდება თუ არა კინოცენტრის ფონზე კინოსტუდია „ქართული ფილმი“? მე ახლა არ დავიწყებ კინოცენტრის გაკრიტიკებას, იქ არიან ნიჭიერი გოგო-ბიჭები, მაგრამ არ იღებენ იმას, რაც საჭიროა. მე სპეციალურად ვნახე ყველა ფილმი, იქ არის რამდენიმე ნიჭიერი რეჟისორი, დანარჩენები აკეთებენ თითქმის არაფერს, წყალს. ერთი ზაზა რუსაძეა, რომელიც მეუბნება: ბატონო გიორგი, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ქართული კინო ინტეგრაციაში უნდა შევიდეს ევროპულ კინოსთანო? მე ვუთხარი, შვილო, ინტეგრაცია შეიძლება მოხდეს თავდაცვის საკითხში, ფინანსურ საკითხში, სხვადასხვა სფეროებში, მაგრამ კულტურა არის უძველესი წარმონაქმნი და ყველა ერს უნდა ჰქონდეს საკუთარი თვითმყოფადობა-მეთქი. ეგენი პატარ-პატარა ფესტივალებზე დარბიან, მცირე პრიზებს იღებენ და მერე ბუქავენ. ამის სპეციალისტი იყო რურუას დროს ერთი ქალი, რომელიც იჯდა კინოცენტრში... გვარსა და სახელს ვერ გეტყვი, ასეთი ხალხის გვარებს ვერ ვიმახსოვრებ. ახლა ზის ნანა ჯანელიძე და ფინანსებს იყენებენ მხოლოდ იმისთვის, რომ იარონ საზღვარგარეთ. კარგად გამიგეთ, იმიტომ არ ვიბრძვი, რომ მე და ჩემმა ძმამ ფილმები გადავიღოთ, ჩვენ საკმარისი ფილმები გადავიღეთ. ახალგაზრდებმა უნდა გადაიღონ კარგი ფილმები, მაგათ უნდათ გზის ჩვენება.

**— ამ კომისიაში კინოს სპეციალისტების შეყვანა არ შეიძლებოდა?**

– შეიძლებოდა კი არა, ეს აუცილებელიც კი იყო. ერთ მაგალითს გეტყვით: როდესაც სტალინს ატომური ბომბის გაკეთება დასჭირდა, დაუძახა რამდენიმე ცნობილ ფიზიკოსს და ჰკითხა, თქვენს დარგში ვინ არის ყველაზე კარგი სპეციალისტიო? იმდენად წესიერი მეცნიერები აღმოჩნდნენ, საკუთარი ინტერესებიდან კი არ გამოვიდნენ, უთხრეს, ჩვენზე უკეთესი არის ერთი ახალგაზრდაო და მიუყვანეს ლანდაუ. სტალინი არც კი დაფიქრებულა, ისე ჩააბარა ეს საქმე და შემდგომში ლანდაუ გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი. სტალინს არავითარი კომისია არ შეუქმნია. პრემიერმა და კულტურის მინისტრმა ეს საქმე უნდა დაავალონ სპეციალისტებს. სამწუხაროდ, ოდიშარია თავის თავზე ვერაფერს ვერ იღებს, მშიშარაა. თუ ჩემი ნათქვამი ეწყინება, ცივი წყალი დალიოს. მე პირადად, ამ კომისიას მივეცი აცილება, ორი დღის წინ წერილიც გავაგზავნე!



**„პრემიერმა და კულტურის მინისტრმა ეს საქმე უნდა დაავალონ სპეციალისტებს. სამწუხაროდ, ოდიშარია თავის თავზე ვერაფერს ვერ იღებს, მშიშარაა“**

**— აცილება მიეცით რა ფორმით, უნდობლობას უცხადებთ?**

– თვითონ კომისიას მივწერე: ბატონებო, თქვენ ხართ კომპეტენტურები თქვენს საქმეში, მაგრამ არა მგონია, კინოსტუდიის ბედის გადაწყვეტა შეგეძლოთ, რომელიც არის სულ სხვა სფერო-მეთქი. მე იმავე წერილით მოვითხოვე, რომ გავმართოთ საჯარო ტელედებატები. იქ გამოჩნდება, ვის რა შეუძლია.

**— კი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მთავრობამ უნდა მიიღოს.**

– მიიღონ, ვუშლი? არაფერი კომისიები არ არის საჭირო, კონსულტაციებიც საკმარისია. მე ახლა გადავდივარ სრულ კონფრონტაციაში კულტურის მინისტრთან, გვეყოფა გაუთავებელი დავა, რა ქვევრებსა და დოქებს დასდევს ეს კაცი? ვინაიდან ოდიშარიას არ შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება და არის მშიშარა ადამიანი, ამიტომ ვუცხადებ ომს!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქართული ეროვნული ვალუტის სიმბოლო შეიქმნა



ქართული ეროვნული ვალუტის, ლარის სიმბოლო ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ წარადგინა. მან სიმბოლოს შექმნისთვის გამარჯვებული მხატვარი მალხაზ შველიძე 2 000 ლარით დააჯილდოვა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ასევე გამარჯვებული კონცეფციის თანაავტორებს სერტიფიკატები გადასცა.

„რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, პროექტი წარმატებით დასრულდა. დღევანდელი დღიდან ლარს აქვს თავისი სიმბოლო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია ჩვენი ეროვნული ვალუტის პოპულარიზაციისთვის და შემდგომი ნდობის განმტკიცების თვალსაზრისით. დადგება ის დღე, როცა საქართველო შევა ევროკავშირში და გახდება სრულუფლებიანი წევრი და როცა უარს ვიტყვით საკუთარ ვალუტაზე, მაგრამ იქამდე, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობა ძალიან მაღალი იყოს. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გითხრათ, რომ მომავალ წელს ეროვნულ ვალუტას 20 წლის იუბილე აქვს და ამასთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი სიახლეები გვექნება“, – განაცხადა ქადაგიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ზვიძინა, პირობას გაძლევ, საქართველო არც თურქმენეთი და არც პუტინხუილოს რუსეთია“



საპარლამენტო უმცირესობის წევრი გივი თარგამაძე ბიძინა ივანიშვილის მიერ ტოქშოუს წაყვანის საკითხს ეხმაურება და „ფეისბუკის“ გვერდზე პოსტს წერს.

„დილა მშვიდობისა, საქართველო! აღსრულდა! ყველაფერი, რასაც ვიძახდით. გაფრთხილებდით. ვისაც გონება ბოლომდე არ გაქვთ დაბინდული, ზომბები არ ხართ და თავმოყვარეობის ნარჩენები მაინც გაგაჩნიათ. მოიპოვეთ ინფორმაცია თურქმენეთის მკვდარ ლიდერზე, ნიაზოვზე. იგივე თურქმენთა თავზე, თურქმენ ბაშიზე. ასე იწყებდა, უამრავი კანონდარღვევის გზით პირად კონტროლქვეშ მოქცეულ საზოგადოებრივ მაუწყებელზე, მიუხედავად იმისა, რომ „იმედიც“ მისია და „ჯიდიეს“-იც, რატომ? იმიტომ, რომ ის გონებადახშულია, კლასიკური ჰომო სოვეტიკუსი და თვლის, რომ მთავარია საბჭოთა პირველი არხი!

ჩემი მეგობარი ეკა ბერიძისა და ზვიძინას ერთობლივი გადაცემის დაანონსება ნიშნავს, რომ ამ ერთუჯრედიანს მიაჩნია, საქართველო თურქმენეთია. მისდამი ბრმად გამყოლების მბჟუტავ ნაწილს მივმართავ: კარგით, საკუთარი თავმოყვარეობა ფეხქვეშ ამოუდეთ, ქვეყანა ხომ თქვენი ბავშვებისაა? ამის შემდეგი ნაბიჯი, ჟანრის კლასიკიდან გამომდინარე, იქნება ყოველგვარი გადამეტების გარეშე, რომ პურს დედამისის სახელს დაარქმევს და რომელიმე თვეს – ნეიტრალიტეტს. იხილეთ თურქმენეთის ქრონიკები. მე ნანახი მაქვს და, ზვიძინა, პირობას გაძლევ: საქართველო თურქმენეთი არ არის, არც პუტინხუილოს რუსეთია, ჰაკიმ ფაშას და შენი სათამაშოების დროებითი გამარჯვებები მარტო იმან განაპირობა, რომ შენგან განსხვავებით, ჩვენ სამშობლო გვიყვარს და სახელმწიფოს ვუფრთხილდებით. დაიწყე ქადაგება და ჩვენი მოძულე ხალხიც მიხვდება, რომ შენ ხარ ერთი ჭორვილელი ავანტიურისტი, არარაობა, მულტფილმის „ლურჯი მელია“, რომლისავით აქედან ველარ გაასწრებ. ამ თვალთმაქცობის ტელევიზიით დაწყებას გილოცავ, საქართველო! ზვიძინა ჩაივლის მალე“, – წერს თარგამაძე. (ნიუპოსტი)



# მარიხუანას გამოყენება აშშ-ის 23-ე შტატში დაუშვეს სამკურნალოდ

## რას ამბობს ქართველი ექსპერტი

ნიუ-იორკი ამერიკის შეერთებული შტატების 23-ე შტატი გახდა, სადაც სამედიცინო თვალსაზრისით ოფიციალურად დაიშვა მარიხუანის მოხმარება. შტატის გუბერნატორის აზრით, ეს კანონი მდგომარეობას შეუმსუბუქებს მძიმედ დაავადებულ ადამიანებს. ახლად მიღებული კანონის მიხედვით, მარიხუანა გაიცემა მკაცრად, რეცეპტის შესაბამისად, ისეთი მძიმე სენით დაავადებულ ადამიანებზე, როგორიცაა კიბო, პარკინსონის დაავადება, გაფანტული სკლეროზი, ეპილეფსია. მსგავსი ავადმყოფობით დაავადებულებს ნება ეძლევათ, ხსენებული ნარკოტიკი საკვებს დაუმატონ და ისე მიიღონ, ან ინჰალაცია ჩაიტარონ. რაც შეეხება მარიხუანის მოწევას, ან დათესვა-მოყვანას, ეს შტატის კანონით უმკაცრესად იკრძალება. ზოგადად, ამერიკის ფედერალური კანონების მიხედვით, თუნდაც მცირე რაოდენობით მარიხუანის შენახვა-მოხმარება უკანონოდ ითვლება და, შესაბამისად, მისი შემნახველ-მომხმარებელი მკაცრად ისჯება.

საინტერესოა, ამერიკაში ამდენი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების შემთხვევაში, რა მიზნით გამოიყენება მარიხუანა. ანდა, თუ ასეთი ეფექტური ტკივილგამაყუჩებელია, ჩვენთანაც თუ არის შესაძლებელი მსგავსი პრაქტიკის დანერგვა?

**„ალიას“ ესაუბრება ექსპერტ-ნარკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გელა ლეჟავა:**

– ჩემთვის ცნობილია ამერიკის ეს მეთოდი, მაგრამ მარიხუანის სამედიცინო მიზნით გამოყენება ჩვენთვის მიუღებელია და გეტყვით, რატომ. ამერიკა სხვა ქვეყანაა და მიდგომა სხვაა, იქ ონკოლოგიურ ავადმყოფებს აძლევენ ამ ნარკოტიკს. საქართველოში როცა იქნება ისეთივე პროფილაქტიკისა და პრევენციის ზომები, საკონსულტაციოები სკოლებში და ის ანტურაჟი, რომელიც ამერიკაშია, მერე შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, ჩვენთან როგორ მოხდეს მარიხუანის ლიბერალიზაცია. მაგრამ მაშინ, როცა საქართველოში არც ერთი მსგავსი სისტემა არ მუშაობს, ლაპარაკი იმაზე, რომ ვიღაცას უჭირს, მოდი და მარიხუანა დავუნიშნოთო, ვფიქრობ, მიუღებელია.

**— ბატონო გელა, როცა ამდენი ტკივილგამაყუჩებელი არსებობს ამერიკაშიც, რატომ მარიხუანა? რა განსაკუთრებული თვისებები აქვს ამ ნარკოტიკს?**

– ქიმიოთერაპიის დროს ხშირად ხდება, რომ ავადმყოფი მძიმედ იტანს ამ პროცესს და ძლიერი გულისრევა აქვს, მარიხუანა უმსუბუქებს მდგომარეობას და ეხმარება ავადმყოფს, ეს სიმპტომი გაუადვილოს, მაგრამ ამერიკისგან განსხვავებით სხვა ქვეყნებში ეს აკრძალულია. ანუ, ვიღაცას მიაჩნია ეს კარგ პრეპარატად და ვიღაცას – არა. მაგრამ ვიმეორებ, როცა ჩვენ იმ ზომამდე მივალთ, პრევენციის მხრივ, როგორც ამერიკელები არიან, მერე ვილაპარაკოთ ამაზე.

**— მაგრამ იქაც მხოლოდ საკვებში დასამატებლად და საინჰალაციოდ დაუშვეს.**

– იქ საკვებშია, რომელიღაც ქვეყანაში მოწევაა დაშვებული, მაგიტომ ვამბობ, არავითარი რეალური, ობიექტური და დასაბუთებული არგუმენტი მარიხუანის გამოყენებისა, არ არსებობს.

**— რაც შეეხება გაეროს, რა მიდგომა აქვს მას მარიხუანისადმი?**

– გაერო წინააღმდეგია ამ ნარკოტიკის გამოყენების, მომხრე რომ იყოს, პირველად ის იტყოდა, მოდით, გამოვიყენოთო და დავუჯეროთ გაეროს. მაგრამ ამერიკაში ისეთი ანტინარკოტიკული პროპაგანდა მიდის და იმხელა თანხები იხარჯება ამაზე, ადამიანს შეშურდება. ჩვენთან კი რა კეთდება ამის საწინააღმდეგოდ? ჩვენ ისიც კი არ ვიცით, საერთოდ რამდენი ნარკომანი გვყავს საქართველოში. ისინი კი ამას ყოველწლიურად სწავლობენ, აკვირდებიან მილიონ რამეს: მომხმარებლის ასაკს, სოციალურ ჯგუფს, დასაქმებას, ჩვენთან კი არც ერთხელ არ მომხდარა ამის გამოკვლევა და როგორ შეიძლება, ერთნაირად ვიმოქმედოთ ამ თვალსაზრისით?

**— თქვენ თქვით, გამოკვლევა არ ხდებაო და რატომ?**

– რატომ? რატომ და ეს ფულს მოითხოვს და ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გამოყო იმისთვის საკმარისი ფული, რომ მოსახლეობის გამოკვლევა მოხდეს, ვიმეორებ, თუნდაც ერთხელ...

**— და რაც ვიცით, ეს მიახლოებული რიცხვია?**

– აღრიცხვაზე ვინც არის, ის რიცხვია ცნობილი, მაგრამ ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში 17 პროცენტით გაიზარდა მომხმარებლის რიცხვი და ეს რა ასაკში, არ გაინტერესებთ?

**— გვაინტერესებს!**

– ცხრა წლიდან ჩვიდმეტ წლამდე! და ამ რიცხვს რომ ნახავ და კიდევ იმაზე ილაპარაკებ, ლიბერალიზაციაო, ეს მიუღებელია! თან ისიც არ ვიცით, ეს რაოდენობა რა ნარკოტიკს იღებს. მოკლედ, რაც შევისწავლეთ, ქვეყანაში უმძიმესი სიტუაციაა და 17-პროცენტიანი ზრდა ნარკომანიაში, ძალიან დიდი ციფრია; ევროპის ქვეყნებში ასეთი ზრდა არსად არ არის დაფიქსირებული და კიდევ გამართივება? რას ამბობთ? ვიღაცას ნარკომანობა და ნარკოტიკის გაყიდვა უნდა და ეგრე ხომ არ არის? 40 000 და კიდევ მეტი ინტრავენური ნარკომანია საქართველოში, ეს ამდენი ადამიანი რომ გამოვა ქუჩაში და მარიხუანის ლეგალიზაციას მოითხოვს, უზარმაზარი დემონსტრაცია გამოვა, ხომ? მაგრამ სამი მილიონი ადამიანი რომ ამის წინააღმდეგია, ეს არაფერი? ხალხს ჰკითხეთ ქუჩაში, რას ფიქრობენ ამის შესახებ და გეტყვიან, ვინ არის ამის მომხრე. ლეგალიზაცია ყველანაირი სახით დაღუპავს ქვეყანას და ქართველ ერს, ამას გეუბნებით მეცნიერულ მონაცემებს.




**„ქიმიოთერაპიის დროს ხშირად ხდება, რომ ავადმყოფი მძიმედ იტანს ამ პროცესს და ძლიერი გულისრევა აქვს, მარიხუანა უმსუბუქებს მდგომარეობას და ეხმარება ავადმყოფს, ეს სიმპტომი გაუადვილოს, მაგრამ ამერიკისგან განსხვავებით სხვა ქვეყნებში ეს აკრძალულია“**

**— მერე ვინ გითხრათ, რომ ჩვენ ლეგალიზაციის მომხრე ვართ?**

– სულ ამაზე ვფიქრობ, რომ ის 40 000, თუ 45 000 ადამიანი ჩვენი უბედურებაა, ხომ? სულ, ალბათ, 200 000 მომხმარებელია და მიტინგს რომ აწყობენ, ესაა სწორი?

ვინც გამოდის, თავის ინტერესებს იცავს და, თურმე ისე უნდა იხმარდნენ ამ ნარკოტიკს, რომ არ უნდა დაიჭირო და არ უნდა დააჯარიმო? უნდა, მოსწევს მარიხუანას, თუ გაიკეთებს ჰეროინს? ეს იგივეა, ვიღაც ქურდი იყოს და გამოვიდეს მოთხოვნით, მოდით, ქურდების ინტერესები დავიცვათო, 1000 ლარამდე ქურდობა არ ჩაითვალოს დანაშაულადო? ეს ხალხი არის დანარჩე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## „მე და ბიძინას საინტერესო გადაცემები გამოგვივა ერთად“

„ქართული დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღათურია თვლის, რომ ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის ჟურნალისტიკაში გამოჩენა საინტერესო იქნება. „ყურებადი იქნება. მე აუცილებლად ვნახავ ამ გადაცემას. კარგი ჟურნალისტი ბიძინა ივანიშვილი ვერ იქნება, თუმცა, საინტერესო გამოვა გადაცემა. მას აქვს იმის ფუფუნება, რომ ასეთი ექსპერიმენტები ატაროს. დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი მისი სტუმარი. თუ ეთერში მიმიწვევს, აუცილებლად მივალ და დარწმუნებული ვარ, მე და ბიძინას საინტერესო გადაცემები გამოგვივა ერთად. შესაძლოა, ბევრ საკითხზე ვიკამათოთ, მაგრამ შესაძლოა ერთი აზრიც იყოს“, – განაცხადა ბაღათურიამ. (რეპორტიორი)

## სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ყავის ნიმუშები გამოიკვლია



სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ყავის 5 ნიმუში ლაბორატორიულად შეისწავლა. „იაკობს მონარქი“, „მაკკოფე“, „სოლედო ლუქსი“ სრულიად აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს. ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა შემდეგ პარამეტრებზე: ტყვია, კადმიუმი, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კოფეინის მასური წილი, აფლატოქსინი, ობის სოკოები. არც ერთ ნიმუშში დარღვევა არ გამოვლენილა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ედუარდ შევარდნაძეს სამხედრო პატივით დაკრძალავენ



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, ედუარდ შევარდნაძეს სამხედრო პატივით დაკრძალავენ. კვირას დროშები დაეშვება როგორც მთელ საქართველოში, ასევე საქართველოს საელჩოებში. საგარეო საქმეთა სამინისტრომ უცხოეთში მოწვევები გაგზავნა და ჯერჯერობით არ არის ცნობილი უცხოური დელეგაციების შემადგენლობა.

გაიხსნება სამგლოვიარო წიგნი ჯერ კრწანისის რეზიდენციაში, ხოლო შემდეგ სამების საკათედრო ტაძარში, სამგლოვიარო წიგნები გაიხსნება ასევე საქართველოს ყველა საელჩოში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სადაც საქართველოს აქვს წარმომადგენლობა.

სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში პარასკევსა და შაბათს გაიმართება, კრწანისის რეზიდენციაში კი – 9 და 10 ივლისს.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს 13 ივლისს კრწანისის რეზიდენციის ეზოში მეუღლის გვერდით დაკრძალავენ. (რეპორტიორი)

*მეცხრე გვერდიდან*

მეცხრე გვერდიდან

რაც ამ ნარკოტიკს მოაქვს, რა შედეგი აქვს, ნამდვილად არ ვიცი. ისევ





„აღრიცხვაზე ვინც არის, ის რიცხვია ცნობილი, მაგრამ ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში 17 პროცენტით გაიზარდა მომხმარებლის რიცხვი და ეს რა ასაკში, არ გაინტერესებთ? ცხრა წლიდან ჩვიდმეტ წლამდე!“

ნი ყველაფრისადმი უინტერესო, კომუნისტები იქნებიან, „ნაციონალები“, თუ „ოცნება“, იმას ფეხებზე ჰკიდია, მაგრამ რომ მოსწიოს და არ დაიჭირო, ამის ინტერესი აქვს და რა არის ამაში გასაკვირი?

**— თუ ჩვენს ნიუსს დავუბრუნდებით, ამ ნარკოტიკს მარტო კიბოს დროს არა, გაფანტული სკლეროზისა და ეპილეფსიის დროსაც ნიშნავენო და რატომ?**

– ეპილეფსიის საწინააღმდეგოდ უამრავი წამალია და ვერ გავიგე, ეგ მარიხუანა კლასიკურ მედიცინაში მიღებული პრეპარატი არაა და არც ეპილეფსიის სამკურნალო, მაგრამ ვიღაცამ რატომ დაუნიშნა? ლიტერატურა ნახეთ და დარწმუნდებით, რომ არავითარი აუცილებლობა იმისა, რომ მარიხუანა დაინიშნოთ სამკურნალოდ ასეთ ავადმყოფებს, არ არსებობს და ეგ არ არის ისეთი რამ, რისი მიღებაც აუცილებლად საჭიროა. იმ ზიანთან შედარებით,




„40 000 და კიდევ მეტი ინტრავენური ნარკომანია საქართველოში, ეს ამდენი ადამიანი რომ გამოვა ქუჩაში და მარიხუანის ლეგალიზაციას მოითხოვს, უზარმაზარი დემონსტრაცია გამოვა, ხომ? მაგრამ სამი მილიონი ადამიანი რომ ამის წინააღმდეგია, ეს არაფერი?“

და ისევ, ამერიკაში სხვა კანონებია, ჩვენთან – სხვა და, აქ რომ მარიხუანა აფთიაქში შევიდეს, რა მოხდება, წარმომიდგენია.

**— და რა მოხდება?**

– გადინება მოხდება და ეს თუნდაც იმიტომაა საშიში, რომ ერთი მუჭა ერი ვართ.

თქვენ იცით, ვაშინგტონის შტატში მარიხუანის მოხმარებისთვის რომაა ათი ადამიანი დაჭერილი, მათგან ცხრა ზანგია? იმიტომ რომ ზანგები დაბალი ფენაა და ის იხმარს! მე რა მაწუხებს, იცით? ნარკომანიასთან ბრძოლის დღეა 26 ივნისი, ვის ახსოვს ეს და ვინ აშუქებს ამ პრობლემას? არც ტელევიზია და არც სხვა მედია რატომ არ აშუქებს ამ თემას? რა ვიცი, აჭრელებულია ეკრანი, ვინ ვისთან არის და ვინ ვისთან არის გარიგებული და კი, ბატონო, ვუყურებთ და ვკითხულობთ ამას



ყველაფერს, მაგრამ ასეთი უბედურება გვჭირს საქართველოში და ყველა გაჩერებულია! მეტიც, ტელევიზიებში მიჰყავთ ხალხი, ვინც მარიხუანის ლეგალიზებას ქადაგებს და იმის თქმა მინდა, რომ ასეთი ეკონომიკა გვაქვს, ასეთი გარემოცვა და ახლა კიდევ ნარკოტიკი დავუშვათ? მე სულ არ ვარ იმის მომხრე, რომ ნარკომანი ციხეში ჩავსვათ, მაგრამ იმის მომხრე ვარ, რომ ციხეში არ ჩავსვათ და ისე მივხედოთ ამ ხალხს, მაგრამ ამას სჭირდება მატერიალური დანახარჯები და სანამ ეს არ იქნება, მანამდე სხვა გამოსავალი არ გვაქვს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაქსიმალურად მკაცრად უნდა მივხედოთ ამ საქმეს.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „სანამ იმ ხალხს განსჯიდეთ, ბინძური პირები სპირტით გამოირეცხეთ“



საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შვილი, ცოტნე გამსახურდია „ფეისბუკის“ პირად გვერდზე ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებასა და კრწანისის რეზიდენციასთან მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა.

„გაცოცხლდნენ მუმიები... დაიწყო მითები „მსოფლიო მნიშვნელობის“ პოლიტიკოსზე, რომელზეც ოცნებობდნენ თავის დროზე: არიქა, ჩამოვა ეძიკა, გრუზინები ფეხს ფეხზე გადავიდებთ და დასავლეთი გვაჭმევსო... (ზვიად გამსახურდიას დროს – არიქა, გავხდებით დამოუკიდებლები და ავშენდებითო, რომ ფიქრობდნენ, ისეთები).

ჩამოვიდა... არა, ძალით ჩამოიყვანეს! „გამსახურდიას მიერ დაქცეულ ქვეყანაში“ და „აღმშენებლობას“ ჩაუდგა სათავეში... არ ყოფილა ასობით დახვრეტილი, გაუპატიურებული, გაძარცული თბილისში, სამეგრელოში, დანარჩენ საქართველოში, არ ყოფილა აფხაზეთი და სამაჩაბლო! როცა „მოტყუვდა“ დიდი პოლიტიკოსი და ქართველი მეომრები ავტომატების ამარა დატოვა. მართლა აღარ უშლიან, თქვე დედაძაღლებო?!

მე შემრცხვა, როდესაც კრწანისის რეზიდენციასთან ე.წ. ზვიადისტების მცირერიცხოვანი ჯგუფის საქციელი ვნახე და დარწმუნებული ვარ, ამაზრზენი საყურებელი იქნებოდა მამაჩემისთვისაც. მაგრამ: თქვენ რომ იმის მეასედი გაგეარათ, რაც ამ ხალხმა გაიარა შევარდნაძისა და მისი ხროვის წყალობით, თქვენი ინდიფერენტულობისა და სიბრიყვის წყალობით, ვნახავდი თქვენს წკავწკავს... და რისთვის? სამშობლოს სიყვარულისთვის მხოლოდ, განსხვავებული აზრისთვის. ამიტომ, სანამ იმ ხალხს განსჯიდეთ, ბინძური პირები სპირტით გამოირეცხეთ!“ – წერს გამსახურდია. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## „სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სტრასბურგში გავასაჩივრებთ“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, დავით ბაქრაძის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სტრასბურგის სასამართლოში გაასაჩივრებენ:

„მსურს, გამოვეხმაურო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, არ მიიღოს განსახილველად გიგი უგულავას სარჩელი მისი წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით, იმ პირობებში, როდესაც ამ საქმის მიმართ არსებობს ძალიან მაღალი საზოგადოებრივი ინტერესები, იმ პირობებში, როდესაც ამ პროცესს ადევნებენ თვალყურს აშშ და ევროკავშირი, ყველაფერ ამის გათვალისწინებით მოსამართლის გადაწყვეტილება წარმოადგენს ძალიან სერიოზულ საფრთხეს, ეს გადაწყვეტილება გააჩენს ბევრ კითხვას უცხოელ პარტნიორებში და ძალიან ნეგატიურად აისახება დემოკრატიაზე. ამ მოსამართლემ თავის დროზე გადაწყვიტა ზეპირი განხილვის გარეშე განეხილა გიგი უგულავას მერობიდან გადაყენების საკითხი. ის, რაც მოხდა არის სამწუხარო, ეს საკითხი გასაჩივრდება სტრასბურგში და სამართალი იპოვის თავის გზას“, – განაცხადა ბაქრაძემ. (ნიუპოსტი)

## გორში შუახნის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს




გორში, ჭალის დასახლებაში, მრავალსართულიანი ბინის სადარბაზოსთან 60 წლის მამაკაცი ნ. ი. გამვლელებმა გარდაცვლილი იპოვეს. პირველადი დათვალიერების შედეგად გარდაცვლილს სხეულზე დაზიანებები არ აღენიშნება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

# გიორგი გაბედავა: „არავის არ დავინდობთ!!!“

## პატრიარქის დასაცავად ახალგაზრდები მოძრაობას ქმნიან



უფლებადამცველი და სკანდალებით ცნობილი გიორგი გაბედავა, თანამოაზრეებთან ერთად, ეროვნული ფასეულობებისა და ქართული ეკლესიის დასაცავად, „ეროვნულ ახალგაზრდულ მოძრაობას“ აყალიბებს.

„პირველ რიგში, ეს ეხება ქართული ეკლესიისა და მისი უწმინდესობის ილია მეორის პოზიციის გათვალისწინებასა და დაცვას. ჩვენი ეკლესია ის ინსტიტუტია, რომელმაც საქართველო დღემდე მოიყვანა და ერმა ეროვნულობის შენარჩუნება შეძლო. ეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ ფაქტებზე სამართლებრივ ჩარჩოებში სათანადო რეაგირებას მოვახდენთ. საჭიროების შემთხვევაში საზოგადოებრივ შეკრებებს მოვაწყობთ. ყველა სახის მექანიზმს გამოვიყენებთ, რომ მომავალი თაობები ნორმალურ გარემოში გაიზარდონ და ჩვენი ტრადიციები შენარჩუნდეს“.

**„ალიას“ გიორგი გაბედავა ესაუბრა:**

**— გიორგი, შეგიძლია, დამიკონკრეტო, რას უნდა ებრძოლოთ, რა უნდა დაიცვათ?**

– ყველა უფლებადარღვეული ადამიანის უფლებას დავიცავთ, რომელიც სახელმწიფოს, თუ სხვათა მხრიდან იქნება დარღვეული. ასეთ ფაქტებს გამოვააშკარავებთ და რაც შეგვეძლება, ყველაფერს გავუკეთებთ დაზარალებულებს. რას და როგორ, ამის დეტალებზე ჯერ ვერ ვისაუბრებ, რადგან ბევრი რამ ჩამოსაყალიბებელი და დასახვეწი გვაქვს.

**— ეროვნული ღირებულებებისა და ეკლესიის დაცვის საქმეში ბრძოლის რა მეთოდებს მიმართავთ? აცხადებთ, ყველა სახის მექანიზმს გამოვიყენებთ ამ ბრძოლაშიო.**

– მხოლოდ საპროტესტო აქციებს, როგორც ვხედავ, ამ ეტაპზე შედეგი არ მოაქვს. კი, თუ საჭიროა, ქუჩაშიც გამოვალთ, მაგრამ ვეცდებით, რომ ამის გარეშე მოვაგვაროთ პრობლემები. სხვა სახეს მივცემთ ჩვენს პროტესტს. ჩვენ გვინდა, საქმე გაკეთდეს, პიარისა და თვითრეკლამისთვის არ ვაპირებ ამ ორგანიზაციის დაფუძნებას. ეს ისედაც არ მაკლია.

**— თუ შენი განცხადების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ცალკე ხელისუფლებაში დაბუდებული ფსევდოლიბერალებისა და ცალკე „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ მოგიწევთ ბრძოლა.**

– არავისთან ბრძოლას არ დავერიდები, ვინც ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს განახორციელებს, ვინც ეკლესიისა და ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ წავა. ჩემთვის „ნაცმოძრაობასა“ და ხელისუფლების იმ ძალებს შორის, ტრადიციებს რომ გვინგრევენ, განსხვავება არ არის. მათი ვინაობა იცის ხალხმა, მაგრამ ისეთებიც არიან, რომელთა ავი ზრახვების შესახებ, არავინ იცის და ხელისუფლებას ამოფარებულნი, ებრძვიან ეკლესიასაც და ქართულ ფასეულობებსაც. ამ ადამიანებსაც ვამხელთ. როცა დრო მოვა, ყველა გაიგებს. ეკლესიისა და ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ ბრძოლას კი არა, ერთ ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ, ანტიმართლმადიდებლურ განცხადებას არ შევარჩენთ არავის.

ვერ ხედავთ, რა ხდება ამ დღეებში? ედუარდ შევარდნაძე გმირი გამოიყვანეს, მაგან საქართველოს დამოუკიდებლობა მოუპოვაო, აბა, ზვიად გამსახურდიამ რაღა გააკეთა? შევარდნაძემ დამოუკიდებლობა მოუსპო საქართველოს და 20 წელიწადი წყვდიადში აცხოვრა, ზვიად გამსახურდია კი დევნილობაში მოკლა. აი, ეს არის სიმართლე. შევარდნაძის დროს, იმ განუკითხაობის პერიოდში, უამრავი ახალგაზრდა დახოცეს კრიმინალებმა, უამრავი სამოქალაქო ომმა და მერე ნარკოტიკებმა შეიწირა. შემდეგ კი, სააკაშვილის რეჟიმმა, უკვე ოფიციალურად დაიწყო ახალგაზრდების ქუჩაში ხოცვა-ჟლეტა, პოლიციელები და სპეცსამსახურები აკეთებდნენ ამას. ნარკოტიკებისნაირსახეობა კი დღეს რომ არის, იმდენი სად იყო შევარდნაძის დროს? ქართული ჯიშის, გენის განადგურება მიდის მიზანმიმართულად. გარდა ამ უბედურებებისა, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მართლა გადაგვარების გზაზეა, ამ ლიბერასტულმა იდეებმა გამოათაყვანა ეს ხალხი. ეს ყველაფერი სააკაშვილის დროს დაიწყო, ამას მიზანმიმართულად აკეთებდნენ საგანმანათლებლო სისტემის დანგრევითა და სხვა საშუალებებით. ჰოდა, მეტი რომ არ გადაგვარდეს, არ გადაჯიშდეს, ჩვენი ახალგაზრდობა სწორ გზაზე რომ დადგეს, სწორეს ეს არის ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა. ახალგაზრდები გვინდა ჩავაბათ ეროვნულ-პატრიოტულ მოძრაობაში. ენერგია, ცოდნა საქვეყნო საქმეს მოახმარონ და არ გახდნენ უცხოეთიდან თავსმოხვეული დამღუპველი იდეოლოგიისა და ცხოვრების წესის მსხვერპლნი.

**— მარტო კონკრეტულ პერსონებს ამხელთ თუ ინსტიტუტებსაც, რომლებიც მავნე, ანტიქართულ საქმიანობას ეწევიან?**

– ყველას ვამხელთ, თითოეული ადამიანიდან დაწყებული, თითოეული გაერთიანებით დამთავრებული. არავის არ დავინდობთ, გინდა კონკრეტული პერსონა იყოს და გინდა სახელმწიფო ინსტიტუტი ან არასამთავრობო ორგანიზაცია.



**„აი, მე რომ გამოვიჭირო ვინმე პედერასტი და მისი უსაქციელობა გადავიღო, მერე ეს რომ გავავრცელო, ამისთვის დამსჯიან, სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გაავრცელაო. ხედავ, რა ხდება? მამაოს პირად ცხოვრებაში ჩარევა, მისი პროვოცირება და მდგომარეობიდან გამოყვანა, მერე ამის გადაღება და გავრცელება შეიძლება თურმე და პედერასტების ორგიების გადაღება-გავრცელება არ შეიძლება“**

გაგრძელება მე-12 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## სააპელაციო სასამართლომ გიგი უგულავას ადვოკატების საჩივარი არ განიხილა

სააპელაციო სასამართლომ თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას ადვოკატებს უარი უთხრა საჩივრის განხილვაზე. საუბარია წინასწარი ორთვიანი პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილებაზე, რომელსაც ადვოკატები ასაჩივრებდნენ. უგულავას ბრალი წარდგენილი აქვს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ე.წ. მარნეულის საქმეზე. (ნიუპოსტი)

## უსაფრთხო ქვეყნების ათეულში საქართველო მე-8 ადგილზეა



ამერიკული სტატისტიკური საიტი **lifestyle9.com** იმ სახელმწიფოების ათეულს აქვეყნებს, სადაც ყველაზე ნაკლებია კრიმინალური შემთხვევები: მკვლელობა, ყაჩაღობა და ქურდობა.

ამ სახელმწიფოების სია ასე გამოიყურება: 1. იაპონია, 2. ტაივანი (ჩინეთი), 3. ჰონკონგი, 4. სამხრეთ კორეა, 5. არაბთა გაერთიანებული საამიროები, 6. მალტა, 7. ლუქსემბურგი, 8. საქართველო, 9. ბაჰრეინი, 10. სინგაპური.

„საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს. ეს არის უნიკალური ქვეყანა, რომელიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საქართველო ვიზიტორებს სთავაზობს: შავი ზღვის სანაპიროს, სამკურნალო კლიმატს, მინერალურ წყლებს, ეროვნულ პარკებს, კავკასიონის მთებს, გემრიელ კერძებს, მდიდარ კულტურას, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ადგილებს და ქართულ სტუმართმოყვარეობას. საქართველოში კრიმინალის დონე ძალიან დაბალია და ეს ქვეყანა მსოფლიოში ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხოა. საქართველოს ტურისტული პოტენციალი გააჩნია, ეს ქვეყანა ვიზიტორებისთვის მიმზიდველი და უსაფრთხოა. კვლევების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეების 98% თავს უსაფრთხოდ გრძნობს“, – წერს სტატიის ავტორი, რომელიც მსოფლიო ბანკსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებს ეყრდნობა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბიძინა ივანიშვილის გადაცემის პროდიუსერი ნინო შუბლაძე იქნება?



ის, რომ ბერა ივანიშვილის არხზე „ჯი-დი-ეს“-ზე ოქტომბრიდან პოლიტიკურ ტოქშოუს ბიძინა ივანიშვილი წაიყვანს, ტელეკომპანიამაც დაადასტურა და განაცხადა, რომ ივანიშვილი ეკა ბერიძესთან ერთად გადაცემის თანამწამყვანი იქნება და არ არის გამორიცხული, მოგვიანებით ტოქშოუმ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გადაინაცვლოს.

„**ambebi.ge**-სთვის ცნობილი გახდა, რომ ბიძინა ივანიშვილის ტოქშოუს პროდიუსერი ნინო შუბლაძე იქნება, რომელმაც „რუსთავი 2“ რამდენიმე თვის წინ მოულოდნელად დატოვა.

ნინო შუბლაძე არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას ბიძინა ივანიშვილის გადაცემის მისი შესაძლო პროდიუსერობის შესახებ: „გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. ასე რომ, არ ვადასტურებ, გმადლობთ რომ მკითხეთ“. – განაცხადა შუბლაძემ. (ნიუპოსტი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ არიან მისი მტრები, მისი სამშობლოსა და რელიგიის მტრები. იყო შემთხვევები, რომ ზოგჯერ იმის ხათრით გავჩერდი რაღაცაზე, ზოგჯერ ამის ხათრით არ გავამწვავე სიტუაცია და ამით უარესი მივიღე. ჩვენზე, ხალხზე, არავინ ფიქრობს, ეს ლიბერასტები და ეკლესიასთან მებრძოლები კი უფრო და უფრო გათამამდნენ, შეტევაზე არიან გადმოსულნი და უკან დახევას არ აპირებენ. აგერ, მამა ილარიონს გადაუღეს და გაუვრცელეს კადრები, ჯერ გამოიყვანეს წყობიდან და მერე გადაუღეს და გაავრცელეს. გაცხარებული მამაოს ჩვეულებრივი საქციელი დასაგმობი გახადეს, ვითომ ნასვამი იყო მამაო. მამა ილარიონიც ადამიანია და უკადრებელი არ უნდა აკადრო. ვინც ეს გაავრცელა, ის ქათამია და ამას ყველგან ვიტყვი. სადაც უნდა, იქ მიჩივლოს. არა, მამა ილარიონს ასეთი რაღაც ვინც გაუკეთა, იმას უნდა შერჩეს? აი, მე რომ გამოვიჭირო ვინმე პედერასტი და მისი უსაქციელობა გადავიღო, მერე ეს რომ გავავრცელო, ამისთვის დამსჯიან, სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გაავრცელაო. ხედავ, რა ხდება? მამაოს პირად ცხოვრებაში ჩარევა, მისი პროვოცირება და მდგომარეობიდან გამოყვანა, მერე ამის გადაღება და გავრცელება შეიძლება თურმე და პედერასტების ორგიების გადაღება-გავრცელება არ შეიძლება. მე არც არავის გადაღებას არ ვაპირებ, ღმერთმა დამიფაროს, ამათ დონეზე დავეცე, მაგრამ ეს არის რეალობა და გვეუბნებიან, ამას შეეგუეთო. ამნაირ სიმახინჯეებს რომ არ შევეგუები, ამგვარ უსამართლობას თავს რომ ვერ ვუხრი, იმიტომ გადავწყვიტე ამ ახალგაზრდული მოძრაობის დაფუძნება, რათა ერთიანი, ორგანიზებული ძალით შევებრძოლოთ ამ სიმახინჯეებს, ამ ქვეყნისა და ეკლესიის მტრებსა და მათ აპეკუნებს.

**— ეკლესიის მტრებისგან დაცვა ძალიან გაგიჭირდება, რადგან კათალიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს, თავად ეკლესიის შიგნით ჰყავს მტრები, როგორც მაღალი, ისე დაბალი სასულიერო პირების სახით. წმინდა სინოდშიც არიან მისი მოწინააღმდეგენი და ამ ფსევდოლიბერალთა დამცველები. აი, ამ ხალხთან ბრძოლაც მოგიწევს.**

– ნებისმიერი ადამიანი, ვინც ეკლესიისა და ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგ გაილაშქრებს, ჩათვალე, რომ ყველა ჩვენი მტერია.



**„ქართული ჯიშის, გენის განადგურება მიდის მიზანმიმართულად. გარდა ამ უბედურებებისა, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მართლა გადაგვარების გზაზეა, ამ ლიბერასტულმა იდეებმა გამოათაყვანა ეს ხალხი. ეს ყველაფერი სააკაშვილის დროს დაიწყო, ამას მიზანმიმართულად აკეთებდნენ საგანმანათლებლო სისტემის დანგრევითა და სხვა საშუალებებით“**



**„თუ ამგვარმა მიდგომამ არ გაჭრა, თუ გააგრძელეს უწმინდესის წინააღმდეგ ბრძოლა, ვინც რას დაიმსახურებს, იმას მივაგებთ, მაღალი იერარქი იქნება თუ დაბალი, ყველას ვამხელთ, არავის მოვერიდებით და ყველას კუთვნილს მოვუზღავთ, ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ ვინ არის, ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე“**

მნიშვნელობა არ აქვს, სასულიერო პირია თუ საერო. თუმცა, ჩემი აზრით, სასულიერო პირების მხილების საქმეში ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ. ამგვარ ფაქტებს ისევ ლიბერასტები იყენებენ ეკლესიისა და კათალიკოს-პატრიარქის დისკრედიტაციისთვის. ამიტომ, პირველ ეტაპზე, მათ მხილებას, მათ შესახებ ბრიფინგების გამართვას, მირჩევნია, უშუალოდ შევხვდე, ავუხსნა საკუთარი შეცდომა თუ დანაშაული, ადამიანურად დაველაპარაკო, რომ სხვა დროს ასეთი რამ აღარ ჩაიდინოს. თუ ამგვარმა მიდგომამ არ გაჭრა, თუ გააგრძელეს უწმინდესის წინააღმდეგ ბრძოლა, ვინც რას დაიმსახურებს, იმას მივაგებთ, მაღალი იერარქი იქნება თუ დაბალი, ყველას ვამხელთ, არავის მოვერიდებით და ყველას კუთვნილს მოვუზღავთ, ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ ვინ არის, ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე.

**— საიდან დაფინანსდება თქვენი ორგანიზაცია? ყველა რეგიონში აპირებ ორგანიზაციის ფილიალების გახსნას და აქტიურობას და ამას ცოტა ფული არ დასჭირდება.**

– ჯერ დაფინანსებას არსაიდან არ ველით, ჩვენი ძალებით ვაპირებთ ამ საქმის დაწყებას. ჩვენთან არიან პატრიოტი ახალგაზრდები და დასაწყისში მათ მიერ გაღებული თანხები გვეყოფა. ახლა ვაპირებთ ფულის შეგროვებას. რეგიონულ ოფისებს ადგილობრივი აქტივი შეინახავს და შეხვედრების გამართვასაც დიდი თანხები არ დასჭირდება. მოკლედ, ხარჯს თავადვე ავუვალთ. თუ მომავალში ეროვნული აზროვნების ადამიანები დაგვაფინანსებენ, ურიგო ნამდვილად არ იქნება, უკეთესში ფულს რაში დახარჯავენ? მათი შვილები იზრდებიან ამ ქვეყანაში და მათ ინტერესებშიც უნდა იყოს, რომ ნორმალურ გარემოში გაიზარდონ მათი შვილები და არა ამ ლიბერასტებით სავსე საქართველოში.

**— ამ მოძრაობის შექმნაზე სასულიერო პირებს ელაპარაკეთ?**

– არა, ნამდვილად, ერთ სასულიერო პირთანაც კი არ მისულვარ და არაფერი მიკითხავს, არაფერი შემითანხმებია. ვიცოდი, რომ ამგვარ კითხვებზე მომიწევდა პასუხების გაცემა, ამიტომ, მინდოდა, მართალი ვყოფილიყავი და ეკლესიასთან საერთოდ შეუთანხმებლად გადავწყვიტე ამ მოძრაობის შექმნა. ეკლესიის, ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ ძირგამომთხრელებთან ბრძოლა ყველა შეგნებული ქართველის ვალია და ამისთვის არავის არ სჭირდება ნაბართვა. ვისაც ამის სურვილი და შემართება აქვს, შემოგვიერთდეს.

**ლევან ჯავახიშვილი**
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ზურაბ პაპასქირი ედუარდ შევარდნაძეს სტალინსა და გიორგი მეორეს ადარებს

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ზურაბ პაპასქირის განცხადებით, საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ისტორიაში შევა, როგორც წინააღმდეგობრივი პიროვნება.



„ერთი მხრივ, შევარდნაძე ნამდვილად საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწეა და უფრო მეტიც, შეიძლება, ითქვას, რომ სტალინის შემდეგ მეორე ქართველი, რომელმაც დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ ისევე, როგორც სტალინმა, მანაც აღიარება ჰპოვა არა როგორც საქართველოს ლიდერმა, არამედ როგორც დიდი რუსულ-საბჭოური იმპერიის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელმა“.

„ედუარდ შევარდნაძემ, როგორც ქართველმა პოლიტიკურმა და სახელმწიფო მოღვაწემ საკუთარ სამშობლოში სრული პოლიტიკური კრახი განიცადა. მართალია, კომუნისტური რეჟიმის პირობებში მას, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს (ანუ რესპუბლიკის პირველ პირს), ჰქონდა გარკვეული წარმატებები, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ამპლუაში აბსოლუტურად ვერ გაართვა თავი ქვეყნის მართვას და სახელმწიფო კატასტროფამდე მიიყვანა. რაც მთავარია, მისი მმართველობის პერიოდში დაირღვა საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობა. მე, როგორც ისტორიკოსი, ედუარდ შევარდნაძეს გიორგი I-ს (1072-1089) შევადარებდი (ნიშანდობლივია, რომ ედ. შევარდნაძის ნათლობის სახელი სწორედ გიორგია). მანაც იმპერიის (ბიზანტიის) მასშტაბით დიდი აღიარება მოიპოვა, მაგრამ საკუთარ სამშობლოს ვერ მოუარა, როგორც მეფემ, სრული უნიათობა გამოამჟღავნა და საქართველო ღრმა კრიზისში მოაქცია, რის გამოც გადააყენეს კიდეც. დაახლოებით ასევე დაასრულა შევარდნაძემაც, რომელმაც, სამწუხაროდ, აგრეთვე, ვერც ერთ გამოწვევას ვერ უპასუხა და ქართული სახელმწიფოებრიობა, ფაქტობრივად, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კოლაფსამდე მიიყვანა“. – განაცხადა პაპასქირმა.



პაპასქირის მოსაზრებას სოციალურ ქსელში ეხმიანება ბიმურზა დადეშქელიანი-აფრასიძე:

„შევარდნაძის ოჯახმა საქართველოს უბედურებაზე იშოვა კაპიტალი (მოსახლეობის 20 მილიარდ დოლარამდე ანაბრიდან, 2,5 მილიარდი კრედიტი უცხოეთიდან, „ვაუჩერიზაციით“ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჰესებიდან, ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გაყიდვიდან... ანუ 30 ვერცხლი) თქვენმა „გმირმა“. შევარდნაძემ კარიერა დაიწყო ღალატით, როცა დაგმო 1956 წლის 9 მარტს დახვრეტილი ახალგაზრდობის საქმიანობა და ქუთაისის კომკავშირის მდივნობა დამსახურებისთვის თბილისისაში გაუცვალეს... შემდეგ ნეგატიური მოვლენების პიარით დაიჭირა სამეურნეო დანაშაულისთვის 25 ათასი ადამიანი, ამავე დანაშაულისთვის დახვრიტა ადამიანები, რაშიც ის პიონერი იყო სსრკ-ში. მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის გარიგებით გაიყვანა ჯარი და ტექნიკა გაგრიდან და ერთ თვეში ჩააბარა გაგრა, ლესელიძე, განთიადი...

1993 წლის 27 ივლისის სოჭის გარიგებით, ერთ თვეში ჩააბარა აფხაზეთი. 1994 წელს გაეროს გენმდივნის ბუტროს გალის თანდასწრებით მოსკოვში ხელი მოაწერა აფხაზეთის დამოუკიდებლობას... თვითმფრინავის ბიჭების, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, ნაზი შამანაურის, პატრიოტ ჟვანიას, მღვდელი ჩიხლაძის, პატარიძის, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში 30 000 ადამიანის მკვლელობა...

შევარდნაძის რეჟიმი უნდა გასამართლდეს 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისთვის, 1992 წელს რუსული გადატრიალებისთვის, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და მრავალ სხვა პატრიოტის მკვლელობისთვის. 1992 წელს კრემლის დავალებით არძინბასთან ერთად ე.წ. აფხაზეთის კონფლიქტის გაჩაღებისთვის, ქართველთა გენოციდისა (30 000 ადამიანას მკვლელობისთვის აფხაზეთში) და ეთნიკური წმენდისთვის (300 000 ადამიანზე მეტი ქართველის საკუთარი საცხოვრისიდან იძულებით გამოყრისთვის)“. (ფრონტნიუსი)

## ლელა მებურიშვილი დედა გახდა





მსახიობი და ტელეწამყვანი ლელა მებურიშვილი დედა გახდა. მსახიობს 4 ივლისს ბიჭი შეეძინა.

ალექსანდრე საგანელიძე ამერიკაში დაიბადა, შესაბამისად, პატარა ამერიკის მოქალაქეა.

*newposts.ge*

## ბუბა კიკაბიძე: „ძალიან სამარცხვინო რამე მოხდა, გული მერევა“...



მსახიობი ბუბა კიკაბიძე სამარცხვინოს უწოდებს დედაქალაქის ყოფილი მერის დაკავებას. მისი თქმით, გიგი უგულავა იყო კარგი მერი და მისი დაკავება ძალიან ულამაზოდ მოხდა.

„ძალიან სამარცხვინო რამე მოხდა. დაკავება მოხდა ძალიან ულამაზოდ. თუ ვინმე დასაკავებელია, თავის დროზე უნდა გააფრთხილო, რაღაც წესები ხომ არსებობს, კაცო?! ეგრე არ შეიძლება. მე უკვე აღარაფერს აღარ ვუყურებ ტელევიზორში, გული მერევა, რა. რაღაცები შენდებოდა, კაცო, და ეტყობოდა ქალაქს“, – განაცხადა ბუბა კიკაბიძემ.

*pirveliradio.ge*

## ჩემი გადაცემის დასახელებაზე ჩამოვყალიბდი — „ია პომნიუ ვაშუ გადაცემუ“ — გოგა ხაჩიძე

გოგა ხაჩიძე ბიძინა ივანიშვილის გადაცემის სათაურს აანონსებს.



საპარლამენტო უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე ბიძინა ივანიშვილის მიერ გადაცემის წაყვანის თემას კიდევ ერთხელ ეხმაურება და მის ალტერნატივად საკუთარი გადაცემის სათაურსაც აანონსებს:

– როგორც უკვე იცით, ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის გადაცემის ეთერში გასვლიდან შემდეგ დღეს, პარალელურ რეჟიმში გამოჩნდება ჩემი გადაცემაც, რომელშიც გავარჩევთ ბ-ნი ბიძინას გადაცემას.

ჰოდა, ახლა, ჩემი გადაცემის დასახელებაზე ჩამოვყალიბდი – „ია პომნიუ ვაშუ გადაცემუ“, – წერს ხაჩიძე.

*newposts.ge*

## ინგა გრიგოლია: „ივანიშვილის გადაცემა მოხსნის ყველა რეიტინგს“




ბიძინა ივანიშვილის მიერ ტოქშოუს წაყვანის ფაქტს ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია ეხმაურება:

– ბევრმა დამირეკა კომენტარზე ბიძინა ივანიშვილის გადაცემასთან დაკავშირებით. რადგან ჭორი მეგონა, არანაირი შეფასება არ გამიკეთებია)))))) ვინაიდან ინფო ოფიციალურად დადასტურდა, კომენტარს აქვე დავდებ ბარემ – მე დიდი ინტერესით დაველოდები მის გადაცემას და ზუსტად ვიცი, ყურებადობა ექნება პიკში... ჩემი აზრით, მოხსნის ყველა რეიტინგს...)))))))))) ესაა ჩემი კომენტარი...

პ.ს. განსაკუთრებით დამაინტერესებს ოპოზიციის სტუმრობა მის ეთერში... – წერს გრიგოლია „ფეისბუკის“ გვერდზე.

*newposts.ge*

## თეონა კონტრიძე: თქვე უტაქტო, ასფალტზე აღმოცენებულო და ყოვლად უვიცო ხალხო! ფუ!



ცნობილი ქართველი მომღერალი, თეონა კონტრიძე ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებს სოციალურ ქსელში ეხმაურება.

– მომისმინეთ! ჯერ სოფელ მამათიდან ჩამოდით. გახდით, სულ ცოტა, საქართველოს პირველი პირი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი და მერე „იბაზრეთ“ რამე. თქვე უზრდელო და უტაქტო, ასფალტზე აღმოცენებულო და ყოვლად უვიცო ხალხო! ფუ! – წერს თეონა კონტრიძე „ფეისბუკზე“.

*pia.ge*



## როგორ ეხმაურება სოფო შევარდნაძე ბაბუის გარდაცვალებას



ორი დღეა, რაც სოციალურ ქსელში ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებას უამრავი ადამიანი ეხმაურება. ცნობილი სახეების დიდმა ნაწილმა სოფოს ჯერ კიდევ გუშინ მიუსამძიმრა „ფეისბუკის“ საშუალებით. მათ შორის იყვნენ ნანუკა ჟორჟოლიანი და ია ფარულავა.

სოფოს ბაბუის გარდაცვალებაზე საჯარო კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ სოციალური ქსელის საშუალებით ბავშვობაში ედუარდ შევარდნაძესთან გადაღებული სურათი გამოაქვეყნა. მოგვიანებით კი – ექსპრეზიდენტის ახალგაზრდობის ფოტო.

*reitingi.ge*



## აჩუქა თუ არა სალომე ტეტიაშვილს ქართველმა ბიზნესმენმა ბინა — „მეგობრები აღარ მირეკავენ“

მას მერე, რაც სალომე ტეტიაშვილმა პროექტი დატოვა, ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ერთ-ერთი ქართველი ბიზნესმენი დაუკავშირდა და ბინით უზრუნველყოფას დაჰპირდა.

სალომე ტეტიაშვილი:

– საიდან მოგაქვთ ეს ჭორები, როგორ მაინტერესებს... პირველწყარო მაინტერესებს, ვინ ავრცელებს. იქნებ გამაცნოთ მეც ეს ბიზნესმენი... ტყუილია, ტყუილი. ნეტავ, მართალი იყოს. მსგავსი რამე რომ მოხდეს, მთელ საქართველოს მოვდებ ამ ახალ ამბავს. ბიზნესმენი კი არა, რაც პროექტიდან გამოვვარდი, მეგობრები აღარ მირეკავენ.

*reitingi.ge*

## ცოტნე გამსახურდია შევარდნაძის შესახებ განცხადებების გამო პატრიარქს აქილიკებს



ზვიად გამსახურდიას ვაჟი სოციალურ ქსელში პატრიარქის მიერ, შევარდნაძის გარდაცვალების მიმართ ნათქვამ სიტყვებს ეხმაურება.

– ქართველი ხალხი უმადური არ იქნება. ქართველი ხალხი აუცილებლად დაუმადლებს ბატონ ედუარდს. მოუსმინეთ, თუ არ დაგეზარებათ, საინტერესო სიტყვაა. ახლა ის მაინტერესებს, დედა ეკლესია როგორ გადაუხდის მადლობას? 1) ტაძრის ეზოში დაკრძალავენ; 2) პარაკლისს მისი ნათლია აღავლენს; 3) 07.07.14 (არ მჯერა ასეთების, მაგრამ არის ამ თარიღში რაღაც მისტიკური) საყოველთაო გლოვის დღედ გამოცხადდება საქართველოს მხსნელის სულისთვის. დიახ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს ეკლესიის ინსტიტუციურად, ფინანსურ-ეკონომიურად გასაძლიერებლად ყველა პრეზიდენტზე მეტი გააკეთა. სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე საზოგადოება კარგად არის დაბანგული. აბა, არ ეკუთვნის მადლობა? – წერს გამსახურდია და ილია მეორის 1998 წლის გამოსვლის ჩანაწერს აქვეყნებს, სადაც პატრიარქი ედუარდ შევარდნაძეს საქართველოში ჩამოსვლის გამო მადლობას უხდის.

*pia.ge*

## თორნიკე ყიფიანი — ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამაბედნიერეთ



„X-ფაქტორის“ გამარჯვებული თორნიკე ყიფიანი გახდა. „ყიფო“ სოციალურ ქსელში გულშემატკივრებს მადლობას უხდის:

– მადლობა, მადლობა, მადლობაააააააააააა... ყველას უღრმეს მადლობას გიხდით. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამაბედნიერეთ, მიუხედავად იმისა, რომ არ მეტყობა, ძალიან ძალიან, ძალიან გახარებული ვარ. არც ვიცი, რა დავწერო, ძალიან ბევრი რამის თქმა მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!!! მიყვარხართ, – წერს თორნიკე.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



მოშე აბრამს:

– ჩაიში ხუთი კოვზი შაქარი ჩაგიყარო თუ ექვსი?

– სამი, მაგრამ ისე ჩაყარე, რომ დავინახო!..

*****

ორი დეპუტატი სათევზაოდ წავიდა. ცოტა წაითევზავეს, ჩამოსხდნენ საჭმელად და გულახდილად საუბარი დაიწყეს:

– ავთანდილოვიჩ, ავარიის მერე რატომ ხარ ასეთი დაღვრემილი?

– რა ვიცი... გადავწყვიტე, არჩევნებიდან ჩემი კანდიდატურა მოვხსნა.

– რატომ, კაცო, რატომ?!

– შურისძიების მეშინია და იმიტომ – ავარია მომივიდა იმ გზაზე, რომლის დაგების პირობასაც უკვე 5 წელია ვიძლევი, შევეჯახე იმ საბავშვო ბაღის ფუნდამენტს, რომელიც 3 წლის წინათ უნდა ამეშენებინა და მოვხვდი იმ საავადმყოფოში, რომლის გარემონტების პირობა სამჯერ მაქვს დადებული.

– ეს ყველაფერი ხომ უბრალო დამთხვევაა და მეტი არაფერი!

– ჰო, შეიძლება დამთხვევაა, მაგრამ ახალი მორგის აშენების პირობის მიცემა უკვე მოვასწარი...

*****

მატარებლის კუპეში ორი მამაკაცი ზის. ერთი მეორეს:

– მოდი, ბანქო ვითამაშოთ.

– ჰო, მაგრამ რომ არ ვიცი?

– ეგ არაფერი, არც მე ვარ დიდი მოთამაშე (ბანქოს დასტა ამოიღო).

– აბა, მომეცი აქ (აიღო დასტა და ხელით აწონა).

– ასე არაფერი გამოვა – აკლია.

– მოიცა, არ არსებობს... ჰო, მართალი ხარ, აგურის ათიანი არ ყოფილა...

*****



ვაჟმა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ მამა ძალიან დაუბერდა და ზედმეტ ბარგად გადაექცა, მშობელი მოხუცებულთა თავშესაფარს მიბარა.

5 წლის შვილმა ჰკითხა:

– მამ, ჩაიწერე ის მისამართი, სადაც ბაბუა წაიყვანე?

– რა იყო, მოინახულებ ხოლმე?

– უბრალოდ, მინდა ვიცოდე, როცა შენც დაბერდები, სად უნდა მიგიყვანო!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## ცალხელა ბრიტანელმა პროთეზში მობილური ჩაიყენა



იმდენად სერიოზული პრობლემა აქვს ინგლისური სომერსეტის საგრაფოს მკვიდრს, რომ დანაკლისს მას პრინციპში, ვერაფერი შეუცვლის, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სულით არ ეცემა და ცდილობს, ცხოვრება გაიმრავალფეროვნოს.

50 წლის ტრევორ პრიდოს მარცხენა ხელი უბედური შემთხვევის შედეგად დაუზიანდა და სამწუხაროდ, ქირურგებმა კიდური მას იდაყვამდე მოჰკვეთეს.

გავიდა რამდენიმე წელი და ტრევორ პრიდოს მობეზრდა ის დაბრკოლებები, რომელსაც მობილური ტელეფონის გამოყენებისას ხვდებოდა. ჰოდა, გადაწყვიტა, ხერხი ეხმარა და მიღებული შედეგით მთელი მსოფლიოს ალაპარაკებაც შეძლო – მან პროთეზში „ნოკიას“ მარკის მობილური ჩაიყენა.

აღსანიშნავია, რომ ტრევორ პრიდოს ამ სურვილის შესასრულებლად „ნოკიამ“ მისთვის სპეციალური მოდელი დაამზადა, რომელიც ამიერიდან ხეიბარს სირთულეებს აღარ შეუქმნის.

**lenta.ru**

## მამაკაცი, რომელსაც ყველაზე მეტი... ნახვრეტი აქვს




ეჰ, კაცი რომ სახელს ყველაზე მეტი ნახვრეტის დახმარებით გაითქვამს, კაპიკია მისი ფასი, მაგრამ თავად 52 წლის როლფ ბუჰგოლცს რომ ჰკითხოთ, ძალიანაც შესანიშნავი ჰობი აქვს არჩეული.

როგორც ირკვევა, გასულ დღეებში გერმანიის ქალაქ დორტმუნდში მსოფლიოში ყველაზე მეტი ნახვრეტის მქონე მამაკაცის როლფ ბუჰგოლცის ფოტოსესია გაიმართა.

თურმე, ამ გერმანელს, საერთო ჯამში, სხეულზე 453 ნახვრეტი აქვს გაკეთებული.

უფრო რომ დავაზუსტოთ, 94-ჯერ როლფს გახვრეტილი აქვს კანი ტუჩების გარშემო, 25-ჯერ წარბები და 8-ჯერ ცხვირი. კიდევ 278 სამკაული გერმანიის მოქალაქეს ინტიმურ ადგილებში აქვს გაკეთებული.



ამ ყველაფერთან ერთად, ბუჰგოლცს სხეული შავი ტატუებით აქვს დაფარული, არცთუ სასიამოვნო სურათს კი, რქების მსგავსად, თავში გაკეთებული ორი იმპლანტანტი ასრულებს.

**top.rbc.ru**

## ამერიკელებმა სათამაშოებად... სასქესო ორგანოები აქციეს



სექსუალურ გართობასთან დაკავშირებული უცნაური ბიზნესი წამოიწყო ამერიკელმა „იდეების გენერატორმა“, რომელსაც იქაური მედია მხოლოდ სახელით – ვარკათი მოიხსენიებს.

ამ პატივცემულმა დააფუძნა კომპანია, რომელიც ფანტასტიკური არსებებით ვაჭრობს, ოღონდაც, ეს „არსებები“ სასქესო ორგანოებად არიან ქცეულნი.

ასეთი უცნაური ბიზნესის წამოწყების იდეა ვარკას ჯერ კიდევ 2007 წელს კოლეჯში სწავლისას გაუჩნდა. როცა სწავლა დაამთავრა, ეროტიკული სათამაშოების ბაზარი შეისწავლა და დაასკვნა, რომ სექსშოპების ასორტიმენტი წარმოუდგენლად მოსაწყენია.

– იმაზე, რაც ადამიანებს შორის სექსს ეხება, რთულია რაიმე ახალი მოიფიქრო, – ამბობს ვარკა, რომელმაც, პრინციპში, უცნაური სექსუალური სურვილების მქონეებს რაღაც განსხვავებული მართლაც შესთავაზა – სექსი არარსებულ არსებებთან.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ვარკას ნაწარმს ამერიკელები ერთმანეთს ლამის ხელიდან სტაცებენ და შემდეგ...

**vkontakte.ru**

## რუსეთში 30 ტონა ჭურვი... ჯარში ჩააბარეს



ამას, ალბათ, კურიოზი ნამდვილად არ ჰქვია. ყოველ შემთხვევაში, სასაცილოდ და სამხიარულოდ ნამდვილად არ ექნება საქმე იმას, ვისაც ასტრახანის პოლიცია დაიჭერს.

როგორც ირკვევა, ასტრახანის ჯართის მიმღებ ერთ-ერთ პუნქტში ადგილობრივმა სამართალდამცველებმა თითქმის 30 ტონა ჭურვი აღმოაჩინეს. მართალია, უმეტესი ნაწილი მწყობრიდანაა გამოსული, მაგრამ რამდენიმე ათეული ჭურვი კვლავაც საბრძოლო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვადის გასვლის გამო, ჭურვები ცოტა ხნით ადრე ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში გაანადგურეს, თუმცა როგორ მოხვდა ის ჯართში, ამის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

**rokf.ru**

## გერმანიაში „პოსტერზე მიკრული ვირტუალური მაღაზია“ ამუშავდა




დიდი ეჭვი გვაქვს, გერმანიის მომსახურების სფეროსთვის არც ისე ნაცნობი იქნება ქართული სინამდვილე, როცა ამ შემთხვევაში, მაღაზიის გამყიდველები კლიენტებს უბღვერენ, ებუზღუნებიან და ეკამათებიან კიდეც, თუნდაც თავად იყვნენ დამნაშავეები. არადა, „კლიენტი ყოველთვის მართალია“.

როგორც ირკვევა, გერმანიის 11 ქალაქში, მათ შორის, ბერლინში, ჰამბურგსა და მიუნხენში გამოჩნდა პლაკატი-მაღაზიები, რომლებზეც კოსმეტიკური საშუალებების ფოტოებია აღბეჭდილი და მომხმარებელს შეუძლია, ის ფოტოაპარატით გადაიღოს, შემდეგ კი არჩეული პროდუქტი სახლში მიიღოს.

თავისი არსით, პლაკატი ონლაინ-მაღაზიის მსგავსია: მომხმარებელს საშუალებას აძლევს, სასურველი ნივთი დიდი ხნის ძებნის გარეშე იპოვოს, რადგან ყველაფერი მის თვალწინაა გამოფენილი, თანაც, სპეციალურად დიდი ზომის ფოტოების სახით.

სიახლის ავტორი პარფიუმერული კომპანია „ბუნდიკოვსკია“, რომელმაც პლაკატი-მაღაზიები რკინიგზის სადგურებში გამოფინა.

მართალია, ჯერჯერობით ჩანაფიქრს პოტენციური მყიდველებისგან დიდი მოწონება არ დაუმსახურებია, მაგრამ კომპანიაში ფიქრობენ, რომ სიახლე სასურველ შედეგებს სულ მალე გამოიღებს.

**smione.ru**

## კანადელები დირიჟაბლისა და ეკოთვითმფრინავის ჰიბრიდის გამოცდებს ატარებენ



ეკოლოგიაზე ზრუნვა და საჰაერო ტრანსპორტისთვის რთული რაიონების ათვისების სურვილი კაცობრიობას გადაადგილება-მგზავრობის ახალ-ახალ საშუალებებს ჩუქნის.

ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს, „კარგად დავიწყებული ძველი“ ტრანსპორტია, რომელსაც დირიჟაბლის სახელით ვიცნობთ. ერთი კია, მას არაერთი მინუსი აქვს, მათ შორის, არცთუ მაღალი ფრენის ხარისხი, რთული და ძვირფასი მომსახურება.

სწორედ ამ დაბრკოლებების გადალახვა მოინდომეს კანადური კომპანია „სოლარ შიპის“ სპეციალისტებმა, რომლებმაც დირიჟაბლს თვითმფრინავის შესაძლებლობები დაამატეს.

პირველ რიგში, გაზის „ჭურჭელი“ უფრო ბრტყელი გახადეს, რითიც საფრენი აპარატის აეროდინამიკა გაუმჯობესდა. მეორე დილემა, რომელიც კანადელებმა ასევე გადაჭრეს, დირიჟაბლის ჰაერში აჭრის საკითხია. კერძოდ, მას აღარ სჭირდება დამატებითი დახმარება და აფრენას 50-დან 200 მეტრის სიგრძის სწორ ზედაპირზე გაქანებით ახერხებს. ამდენად, რეგიონები, სადაც დირიჟაბლები იქნება გამოყენებული (ძირითადად, უდაბნოები), ასეთი ადგილების მოძებნა პრობლემა არ იქნება.

რაც მთავარია, „სოლარ შიპის“ საფრენი აპარატი ენერგიას მზის პანელებისგან იღებს, რაც სავსებით საკმარისია აფრენა-დაშვებისთვის. ჰაერში ფრენისთვის კი ის „ტრადიციულ“ ჰელიუმს იყენებს.

ჯერჯერობით კანადელების საფრენი აპარატის გამოცდები მხოლოდ ახლახან დაიწყო, თუმცა მან უკვე აჩვენა, რომ „თანამოძმეებს“ უკვე ძალიან ბევრი ასპექტით აღემატება და შესაძლოა, სულ მალე მიუდგომელი ადგილების ათვისების საუკეთესო საშუალებადაც კი გადაიქცეს. მით უმეტეს, რომ შეუძლია 750 კილომდე ტვირთის გადატანა და მაქსიმალური 120 კილომეტრ/საათის სიჩქარის განვითარება.

**science.computlenta.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. შტატი აშშ-ში
2. ციტრუსი
3. „... თოვლიანი მთა"
4. ინგლისის დედაქალაქი
5. მხ/ფ „ტიტანიკი" უინსლეტის გმირი
6. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
7. სავანის ბინადარი ფრინველი
8. ბოსტნის მავნებელი
9. რბილი ლითონი
10. ბრინჯაო
11. რეპტილია
12. ბოსტნეული
13. ჟან დიუჟარდენი ფილმში
14. მსახიობი ჟან-ლუი ...
15. ქალაქი ყირიმზე
16. ცხენებშებმული ტრანსპორტი
17. ამერიკული თოჯინა
18. ბალანი, ბეწვი
19. მცენარეთა სამყარო
20. პოეტი იოსებ ...
21. ტყის სული წვეტიანი ყურებით
22. ნეტარ ... მორწმუნენი
23. მსახიობი შერონ ...
24. რეჟისორი ... დე ბონტი
25. პოეტი ვაჟა-...
26. მხ/ფ „... სასიძო"
27. მხ/ფ „... ჰელსინგი"
28. რუსი საბჭოთა კლოუნი
29. შვარცენეგერის რკინის ...
30. გოგოლის მოთხრობა
31. დადებითი ელექტროდი
32. მსახიობი ... მიფუნე
33. გალია ცხოველებისათვის
34. სამშენებლო მასალა
35. ქონდრისკაცი
36. მსახიობი ... გოლდბერგი
37. მონღოლეთში: ოქროს ...
38. „ვეფხისტყაოსანი" პერსონაჟი
39. ცივი ქარი. იცის საფრანგეთში
40. მდინარე ციმბირში
41. გერმანიის დედაქალაქი
42. ინის საპირისპირო
43. ჭადრაკის ფიგურა
44. წამლის ჩასაწვეთებელი მილაკი
45. ხელოვნური ვარცხნილობა
46. ინდური კაბა
47. გურამ ფანჯიკიძის რომანი
48. მწერალი ... როლანი
49. ირანში: ... ჰომეინი
50. რუსი მეიგავე
51. მომღერალი ... ნოულსი
52. აღთქმული ქვეყანა პერუში
53. ტელეანძა მოსკოვში
54. რეჟისორი ... იოსელიანი
55. ღრმული წყნარ ოკეანეში
56. დეტექტივი შერლოკ ...
57. ობობის ქსელი
58. უელსი. „დოქტორ ... კუნძული"
59. გეიშამონაფე
60. ბიბლიური ნოეს ძმა
61. წვრილი წვიმა
62. ავტორბოლა
63. საწვიმარი მოსასხამი
64. ნაკურთხი წყალი
65. ზღვრული ნორმა
66. ორგანული ნივთიერება
67. ფუტკრების სახლი
68. პოეტი ... უკრაინკა
69. ნაოსნობა ანუ ...
70. მეტროს მოძრავი კიბე
71. ნიანგის სახეობა
72. კვერცხის თეთრი შიგთავსი
73. თმის საშრობი ხელსაწყო
74. მთათა სისტემა ამერიკაში
75. წარწერა ძვირფას ქვაზე
76. პლაჟი ლოს-ანჯელესთან
77. უსინათლოთა ანბანი
78. წყალქვეშ-სასუნთქი მოწყობილ.
79. მსახიობი ... აბაშიძე
80. მშვილდით სასროლი ჯოხი
81. ქალაქი საფრანგეთში
82. მარადმწვანე მცენარე
83. მტაცებელი ცხოველი სავანაში
84. მხ/ფ „... ტრეისი"
85. ქიმიური ელემენტი
86. ვერცხლის გრძელტარიანი სასმისი
87. ბრენდან ფრეიზერი ფილმში
88. მწვანე ადგილი უდაბნოში
89. გრძელი ნალიჩა
90. ინდიელის ფეხსაცმელი
91. კაკა- ბაძე. „ყვარყვარე ..."
92. კაკლის გულის ნახევარი
93. შტატი აშშ-ში
94. ბოსტნეული
95. პოეტი ... ასათიანი
96. მულტფილმი „..., დამაცადე"
97. მარჯნის კუნძული
98. მტაცებელი ფრინველის ფრენა
99. მხ/ფ „ორი ბატონის ..."
100. ... მორჩილაძე
101. მხატვარი ელენე ...
102. ესკიმოსების ნავი
103. მსახიობი ჯენიფერ ...
104. მხ/ფ „... არდადეგები"
105. ვენესუელის დედაქალაქი
106. წყლის ტრანსპორტი
107. აშშ-ს დედაქალაქი
108. ზლოტის მეასედი
109. შვედური ხურდა ფული
110. „... ხარ ვენახი"
111. ხორბლის გასალეწი მოედანი
112. მომღერალი ... ლავინი
113. ტიბეტური ხარი
114. ავსული არაბულ ზღაპრებში
115. ნათელმხილველი
116. კონტინენტი
117. რეჟისორი ... ლოლობრიძე
118. „თეთრი ქარავანი" პერსონაჟი
119. გამის ნოტი
120. სახის ნაწილი
121. ცხვრის ბარტყი
122. ახლადამოწვერილი ხორბალი
123. ჭამის სურვილი
124. მსახიობი ჯესიკა ...
125. მწერალი ალექსანდრე ...
126. მწერალი ... ტოლსტოი
127. ნივრების ასხმა
128. მხატვარი ედუარდ ...
129. მსახ. ... გარდნერი
130. მსახ. რობერტ ... უმცროსი
131. ნაპირის დამცავი ნაგებობა
132. ჰუნების ბელადი
133. სახოტბო ლექსი
134. ანდრომედას ...
135. ტბა ...-ნესი
136. მომღერალი ... ჯაბუა
137. მდინარე ინდოეთში
138. მსახიობი ... ჰათაუეი
139. მსახიობი დაიან ...
140. ქალაქი ავსტრალიაში
141. მსახიობი ... არტმანე
142. სანჰიგიენური დაწესებულება
143. შტატი აშშ-ში

პასუხები: 1. კალიფორნია; 2. მანდარინი; 3. კილიმანჯაროს; 4. ლონდონი; 5. როუზი; 6. სიასამური; 7. მარაბუ; 8. მახრა; 9. კალა; 10. რვალი; 11. კუ; 12. ჭარხალი; 13. „არტისტი"; 14. ტრენტინიანი; 15. სევასტოპოლი; 16. ეტლი; 17. ბარბი; 18. თმა; 19. ფლორა; 20. ნონეშვილი; 21. ელფი; 22. არიან; 23. სტოუნი; 24. იან; 25. ფშაველა; 26. უდიპლომო; 27. ვან; 28. კარანდაში; 29. არნი; 30. „ვიი"; 31. ანოდი; 32. ტოსირო; 33. ვოლიერი; 34. კირი; 35. ჯუჯა; 36. ვუპი; 37. ერდო; 38. ფრიდონი; 39. მისტრალი; 40. ირტიში; 41. ბერლინი; 42. იანი; 43. პაიკი; 44. პიპეტი; 45. პარიკი; 46. სარი; 47. „სპირალი"; 48. რომენ; 49. აიათოლა; 50. კრილოვი; 51. ბიონსე; 52. ელდორადო; 53. ოსტანკინო; 54. ოთარ; 55. მარიანი; 56. ჰოლმსი; 57. აბლაბუდა; 58. მოროს; 59. მაიკო; 60. აარონი; 61. თქორი; 62. რალი; 63. ლაბადა; 64. აიაზმა; 65. ლიმიტი; 66. ანილინი; 67. სკა; 68. ლესია; 69. ნავიგაცია; 70. ესკალატორი; 71. კაიმანი; 72. ცილა; 73. ფენი; 74. კორდილიერება; 75. გემა; 76. მალიბუ; 77. ბრაილი; 78. აკვალანგი; 79. ლეილა; 80. ისარი; 81. ლიონი; 82. ბუდა; 83. აფთარი; 84. დიკ; 85. ფოსფორი; 86. აზარფეშა; 87. „მუმია"; 88. ოაზისი; 89. ფიანდაზი; 90. მოკასინი; 91. თუთაბერი; 92. ლებანი; 93. ალაბამა; 94. ბოლოკი; 95. ლადო; 96. აბა; 97. ატოლი; 98. ირაო; 99. მსახური; 100. აკა; 101. ახვლედიანი; 102. უმიაკი; 103. ენისტონი; 104. რომაული; 105. კარაკასი; 106. ნავი; 107. ვაშინგტონი; 108. გროში; 109. ერე; 110. შენ; 111. კალო; 112. ავრილ; 113. იაკი; 114. ჯინი; 115. მისანი; 116. ამერიკა; 117. ლანა; 118. მარტია; 119. ლა; 120. ყბა; 121. ბახალა; 122. ჯეჯილი; 123. მადა; 124. ალბა; 125. დიუმა; 126. ლევ; 127. გალა; 128. მანე; 129. ავა; 130. დაუნი; 131. ჯებირი; 132. ატილა; 133. ოდა; 134. ნისლეული; 135. ლოხ; 136. მაია; 137. ინდი; 138. ენ; 139. ლეინი; 140. სიდნეი; 141. ვია; 142. აბანო; 143. არიზონა. იკითხება: ინდაური.

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

„მაგთიკომის“ თანამშრომლები მწუხარებას გამოხატავენ ბატონი

**ედუარდ შევარდნაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## განუკურნებელი დაავადებების დასამარცხებლად, ამერიკაში ხელოვნურ ანტისხეულებს იგონებენ



სამწუხაროდ, არსებობს ბევრი ისეთი დაავადება, რომელთა წინაშე თანამედროვე მედიცინა უძლურია. თუმცა დიდ იმედებს იძლევა სიახლე, რომლის ავტორებიც ამერიკელები არიან.

როგორ ირკვევა, ამერიკელები ხელოვნური ანტისხეულების გამოგონებაზე მუშაობენ და უკვე გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს.

მათი განმარტებით, ადამიანის ორგანიზმში ანტისხეულების გამომუშავებაზე პასუხისმგებელი იმუნური სისტემაა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ვირუსებს, სოკოებს, ბაქტერიებსა და ასე შემდეგ, თუმცა, როგორც კი დაავადება ძალებს იკრებს, ანტისხეულების შესაძლებლობები ადვილად ქვეითდება. ამერიკელი მეცნიერების მიზანია, რომ სინთეტიკური ანტისხეულები ნატურალურს მაქსიმალურად მიამსგავსონ და რაც მთავარია, მათი ორგანიზმში შეშვება-გამოშვება სპეციალური მედიკამენტებით შეძლონ.

– ხელოვნური ანტისხეულების დანიშნულება დაავადების განადგურება, ან თუ ეს შეუძლებელია, მისი მართვაა, – განმარტავენ ამერიკელი სწავლულები.

ამ დროისთვის უკვე შექმნილია კიბოს საწინააღმდეგო ხელოვნური ანტისხეულები, რომელთა კლინიკური გამოცდები მართალია, არ დასრულებულა, მაგრამ მძიმე ავადმყოფების თანხმობით, მათი გამოყენება მაინც ხდება. შედეგები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კვლევა-ძიება სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს და განუკურნებელი დაავადებების დამარცხების რეალურ იმედებს იძლევა.

*dr20.ru*

## შექმნილია შოკოლადი, რომელიც კბილის ემალს არ აზიანებს



გადასარევი და ძალიან გემრიელი სიახლე შესთავაზეს ტკბილეულის მოყვარულებს ბელგიელმა კონდიტრებმა – ამიერიდან შესაძლებელია, შოკოლადი ისე მიირთვან, რომ კბილების მდგომარეობაზე აღარ იდარდონ.

რამდენადაც ცნობილია, შოკოლადი კბილის ემალის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტერია, თუმცა ბელგიელების ტკბილეული შაქრის ნაცვლად ისეთ ნივთიერებას შეიცავს, რომელიც პირის ღრუს არავითარ პრობლემას აღარ შეუქმნის.

ამ საოცარ ნივთიერებას იზომალტულოზა რქმევია და ჩვეულებრივი შაქრის ერთ-ერთი სახეობა ყოფილა. აქვს ანალოგიური გემო და ორი ნაწილისგან შედგება: გლუკოზისგან და ფრუქტოზისგან. ერთი კია, შაქრისგან განსხვავებით, იზომალტულოზა არ გამოყოფს მჟავას, რომელიც გახლავთ კიდეც კბილების მტერი.

ადგილობრივ ბაზარზე შოკოლადის გაყიდვები ბელგიელებმა უკვე დაიწყეს და იმედია, სულ მალე ის ჩვენამდეც ჩამოაღწევს.

*myjane.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**9 ივლისი:** ისეთი გამომეტყველების მიღება მოგიწევთ, თითქოს იცით, რა ხდება და ყველაფერს ეთანხმებით. ხდება რაღაც, რაც ბოლომდე ვერ გაიაზრეთ, ამიტომ, უმჯობესია, არ ჩაერიოთ.

**კურო 22.04-21.05**

**9 ივლისი:** დღეს ძალიან იღბლიანი იქნებით. მთავარია, თავში არ აგივარდეთ და არ ჩათვალოთ, რომ მუდამ ასე იქნება.

**ტყუპები 22.05-21.06**

**9 ივლისი:** შეიძლება დღეს ძალიან აღელვებული იყოთ, იმის მიუხედავად, გექნებათ ამის საბაბი თუ არა. დიდი ალბათობით, ყველას წაეჩხუბებით, ვინც კი თვალში მოგხვდებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**9 ივლისი:** სასურველ მიზანს ძალის გამოყენებითა და მოულოდნელობის ეფექტით მიაღწევთ, რადგან ჩვეულებრივ თხოვნაზეც კი უარს გეტყვიან.

**ლომი 23.07-22.08**

**9 ივლისი:** შეიძლება სამსახურის შეცვლაზე სერიოზულად დაფიქრდეთ. როგორი უკმაყოფილოც არ უნდა იყოთ, არ აჩქარდეთ. თქვენი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**9 ივლისი:** შეიძლება წვრილმანი უსიამოვნებები შეგიქმნან. ნუ დახარჯავთ ენერგიასა და ნერვებს მათ მოგვარებაზე, ყველაფერი თავისით მოგვარდება.

**სასწორი 23.09-22.10**

**9 ივლისი:** შეეცადეთ, დარწმუნდეთ, სწორად ესმის თუ არა თქვენი თანამოსაუბრეს. თუ აზრს სწორად არ მიაწვდით, შეიძლება რთული სიტუაცია შეიქმნას.

**მორიელი 23.10-21.11**

**9 ივლისი:** სპონტანურ მოქმედებებს მოერიდეთ, უსიამოვნებების მეტს არაფერს მოგიტანთ. უმჯობესია, გაუბედავ ადამიანად ჩაგთვალონ, ვიდრე სულელად.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**9 ივლისი:** დღეს ბევრ ადამიანთან მოგიწევთ ურთიერთობა. შეიძლება ეს ხმაურიანი საღამო იყოს, ან სხვა რამე. თუ არ გინდათ, ან არ შეგიძლიათ, საზოგადოების სული და გული იყოთ, უხერხულობას ნუ იგრძნობთ, მსახიობი ხომ არ ხართ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**9 ივლისი:** თუ დღეს რამე შეცდომის გამო უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდებით, საკუთარი თავის მეტს ამაში ვერავის გაამტყუნებთ. ყველაფერი თავადვე უნდა გამოასწოროთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**9 ივლისი:** მოქმედებებში იმით შემოიფარგლეთ, რაც კარგად იცით და უპრობლემოდ გააკეთებთ. რაიმე ახლის გამოგონება სიამოვნებას არ მოგანიჭებთ.

**თევზები 19.02-20.03**

**9 ივლისი:** განმარტების მიცემას მაშინ აქვს აზრი, როცა ვინმე გისმენს. თუ თქვენი მოსმენა არ უნდათ, ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩათვლით. ან ხვალამდე მოიცადეთ.

## სარკეში ყურება ჯანმრთელობისთვის... სახიფათოა?



პრინციპში, ყველაფერი რომ გულთან ახლოს მივიტანოთ, არც ეს იქნება მთლად საუკეთესო გადაწყვეტილება. ხომ იცით, „მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია“, მაგრამ მაინც მოგიყვებით იმ სიახლის შესახებ, რომლის ავტორებიც ბრიტანელი ამერიკელი არიან.

– არ ღირს სარკეში ხშირად ცქერა, რადგან სარკე ერთგვარი ენერგეტიკული ვამპირია, რომელიც ქალს ენერგიას და შედეგად, ჯანმრთელობასაც აცლის, – ამტკიცებენ ამერიკელი სპეციალისტები.

საინტერესოა, რომ კვლევა მთელი 15 წლის მანძილზე გრძელდებოდა და მასში ასეულობით ქალი იყო ჩართული. მოხალისეების მდგომარეობას მეცნიერები ზემგრძნობიარე მაგნიტური ტალღების მქონე დეტექტორებით აკონტროლებდნენ.

ჰოდა, დადგინდა, რომ ვინც ხშირად და ხანგრძლივად იყურება სარკეში, დაახლოებით 3 წუთის შემდეგ დაღლილობას გრძნობს, უუარესდება მეხსიერება და ხასიათიც ეცვლება.

ყველა ამ მოვლენას კვლევის ავტორები შემდეგნაირად ხსნიან: სარკე ენერგეტიკული ვამპირია და ადამიანისგან მთელ ძალას ითვისებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, ადამიანებს საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნათ.

ანალოგიურად მოქმედებს თუ არა სარკე ძლიერ სქესზეც, ამ საკითხზე ამერიკელები არაფერს ამბობენ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*medkarta.com*



თბილისის ცენტრში სუპერმარკეტის აშენებისთვის კონკურსი გამოცხადდა. კომისიამ განაცხადების განხილვის დღე დათქვა. კომისიის წინაშე პირველი თურქი წარდგა:

– პროექტს გაეცანით?

– დიახ.

– და რამდენად ააშენებთ?

– 1 მილიონ დოლარად.

– კარგით, დიდი მადლობა, თქვენს წინადადებას განვიხილავთ.

კომისიასთან ახლა გერმანელი შევიდა:

– თქვენ რამდენად შეძლებთ აშენებას?

– 2 მილიონი დოლარი დამჭირდება.

– ამხელა თანხა რისთვის გჭირდებათ?

– ხარისხი, ვადები, პატიოსნება...

დადგა სომეხი მშენებლის ჯერი:

– 3 მილიონი მჭირდება!

– რისთვის ამდენი?

– 1 მილიონი თქვენ, 1 მილიონი მე და 1 მილიონად თურქები ააშენებენ!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭავაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.57